ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

თამარ თურმანიძე

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : **ჰამლეტ სანიკიძე** ,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი , ასისტენტი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

2012 წლიდან გეგმაზომიერი რეფორმების შემუშავებით და მათი განხორციელებით საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, საქართველოს მთავრობა ცდილობს სახელმწიფოს დემოკრატიულ მშენებლობას. დემოკრატიული სახელმწიფო ეფუძნება სამართლიანობის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების პატივისცემის, საკუთრების ხელშეუხებლობის, თავისუფალი ბიზნესის, დამოუკიდებელი სასამართლოს და მედიის, განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღების თანაბარი შეძაძლებლობების და თანასწორობის პრინციპებს.

საქართველოს მთავრობა თანამიმდევრულად მუშაობს კანონის უზენაესობის და განმტკიცების მიზნით, რათა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა მაქსიმალურად მოხდეს თანხვედრაში ევროპულ სტანდარტებთან. უზრუნველყოფილი და ხელშეუხებელი იყოს გამოხატვის თავისუფლება და მედიის ჩართულობის დამოუკიდებლობა. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი იყოს ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვა, გაუმჯობესდეს სოციალური პროგრამები შეიქმნას მაქსიმალურად ბევრი სამუშაო ადგილები და დაძლეულ იქნეს სიღარიბე.

საქართველოს ევროპულ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და გაძლიერება, მაღალი სტანდარტებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ბალანსის შენარჩუნება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და სამწყები ბიზნესის წახალისება, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება არის დღევანდელი საქართველოს ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება. 2018-2020 წლებში გადადგმული ნაბიჯები ქმნიან, გძელვადიან პერიოდში ქვეყნის სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უპირველესად დაფუძნებულია თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე, სადაც კერძო სექტორი არის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკაში წლების განმავლობაში დაგროვილი სტრუქტურული გამოწვევების საპასუხოდ. ასევე მიმართულია კერძო სექტორში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებასა და ეფექტიანობის ზრდაზე, განვითარებაზე, ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე.

Annotation

Since 2012, Georgian government has been trying to build a democratic state by developing planned reforms and implementing them in Georgian economic space. A democratic state is based on the principles of justice, freedom, the rule of law and respect for human rights, inviolability of property, free business, an independent judiciary and equality and access to the media, education and medical care.

Government of Georgia is consistently working to strengthen and uphold the rule of law, so that the activities of law enforcement agencies and the independence of the judiciary are in full compliance with European standards. Ensure and inviolable freedom of expression and independence of media involvement. To provide equal education, healthcare, improve social programs, create as many jobs as possible and overcome poverty for any citizen of Georgia.

Georgia's full integration into the European space remains a priority. Developing and strengthening democratic institutions, maintaining a balance between high standards and economic growth, promoting small and medium-sized businesses, encouraging entrepreneurship and business, and integrating the country into the world economic system are the main priorities of Georgia today.

The steps taken in 2018-2020 form a solid foundation for the social or economic development of the country in the long run

The country's economic development strategy is primarily based on free market principles, where the private sector is the main driving force of the economy. Along with the high economic growth of the country, its qualitative indicators are also important. The government’s economic policies are aimed at responding to the structural challenges accumulated over the years in the country's economy. It is also aimed at maximizing the potential of human resources and increasing efficiency, development, rapid development of infrastructure and the introduction of open governance principles in the private sector, especially small and medium-sized businesses as the main driver of economic growth.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები 6

1.1 ბიზნესის არსი და მნიშვნელობა 6

1.2 ბიზნესი(მეწარმეობა), როგორც ეკონომიკური კატეგორია 10

1.3 ბიზნესის განვითრება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 22

თავი II. ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები 26

2.1 სახელმწიფო მხარდაჭერის როლი ბიზნესის განვითარებაში 26

2.2 ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 37

თავი III. ბიზნესის განვითრებისა და მხარდაჭერის მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 41

3.1 ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 41

3.2 მეწარმეობის განვითერების გზები და პერსპექტივები საქართველოში 51

დასკვნა 56

გამოყენებული ლიტერატურა 57

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაცია დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან. ბოლო ათწლეულის მანძილზე ამ სექტორების საქმიანობა დიდი ინტერესით განიხილება, როგორც საქართველოს მთლიანი ეკონომიკური სისტემის მდგრადობა და თვითგანვითარებისთვის აუცილებელი პირობა.

სამეწარმეო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესი ზრდის დასაქმებულთა რიცხვს და ქმნის სამუშაო ადგილებს. ძლიერი და კარგად განვითარებული საშუალო და მცირე ბიზნესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ინოვაციებს.

განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროკავშირში, მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორი კერძო სექტორს ეკუთვნის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვიტარების ორგანიზაციის ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოდგენენ, ისინი მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ს ქმნიან. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი მათი რიცხვი 90%-ს სცილდება, თუმცა მათი წილი მთლიანი შიდა პროდუქტში საკმაოდ დაბალია საშუალოდ 20%-ზე ნაკლები.

ბოლო წლების საქართველოში მთელი რიგი რეფორმები განხორციელდა ძირითადად ეკონომიკური კუთხით, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბიზნესის კეთებისა და უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო გადასახადების შემცირების, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლის გზები. ამ რეფორმების შედეგად საქართველოს ეკონომიკა გადავიდა ზრდის ტენდენციაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების რიცხვი. საქართველოს ეკონომიკა დადებითად შეფასდა სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმები შეადგენენ ბიზნესის უდიდეს ნაწილს, მათი წილი მშპ-ში ძალიან დაბალია. ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში.

თავი I. ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები

1.1 ბიზნესის არსი და მნიშვნელობა

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბიზნესის როლი მნიშვნელოვნად დიდია. დღევანდელ დღეს, ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს, სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე ბიზნესი ყველა ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია.

როდესაც ვფიქრობთ რაიმე ფორმით ბიზნეს საქმიანობის წარმართვაზე, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, აუცილებელია ვიცოდეთ, რა ტიპის ეკნომიკურ საქმიანობაში გვიხდება ბიზნესის წარმართვა და რა ბიზნეს გარემოა იმ ქვეყანაში სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ. ხშირად, ეს ფაქტორი განაპირობებს წარმატებისა თუ წარუმატებლობის შედეგიანობას. არაერთხელ ყოფილა მსოფლიო პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც ცალკეული ბიზნეს გარემოს შესწავლის გარეშე რომელიმე კომპანიას განუხორციელებია მისი საქმიანობა და შედეგად კომპანიის მოღვაწეობა წარუმატებლად დასრულებულა. კონკრეტულად სანამ ბიზნეს გარემოს შევეხებოდეთ, განვიხილოთ იმ ეკონომიკური სისტემების არსი, რომლებიც ხშირად განაპირობებენ ამა თუ იმ ბიზნეს გარემოს ფორმირებას. რა არის მთლიანობაში ეკონომიკური სისტემების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები და საერთოდ ვინ განსაზღვრავს ეკონომიკურ სისტემას. ხშირად ეკონომიკური სისტემის ფორმირება ხდება იმის მიხედვით თუ როგორი პოლიტიკური კლასია ქვეყანაში, სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებების მქონე ადამიანები, სხვადასხვაგვარად უყურებენ ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკის მოწყობას. ყველა ტიპის პოლიტიკურ იდეოლოგიას გააჩნია თავისი ხედვა თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა მოწყობილი და ფორმირებული.

მაგალითად განვიხილოთ **ლიბერალები,** რომლებიც ეკონომიკას განიხილავენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებით ნაწილს და ძირითად უპირატესობას ანიჭებენ ბაზარს (კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას), რომელიც ემყარება საკუთრებას, კონკურენციასა და მატერიალურ სტიმულებს, რომლებიც

წარმოადგენენ სამ მნიშვნელოვან ფაქტორს, თუ არ გაგვაჩნია საკუთრება, რთულია ფიქრი განვითარებაზე რადგანაც მთავარი მასტიმულირებელი კომპონენტი სწორედ საკუთრება წარმოადგენს, თუ არარის საკუთრება რთულია იფიქრო ხანგრზლივი პერსპექტივით. მარტივი მაგალითისთვის ადამიანი უფრო მეტად ზრუნავს საკუთარ სახლზე ვიდრე ნაქირავებზე. რაც შეეხება კონკურენციას, თუ არ არის კონკურენცია, თუ არ გიხდება ბრძოლა კონკურენციისთვის ხშირად სიტუაცია ერთგვარ ჭაობს ემსგავსება ანუ სიტუაცის აღარ იძვრის და მატერიალური სტიმული - თუ ადამიანი არ ელი პერსპექტივას თუნდაც მატერიალურ დონეზე გამოხატულს, მაშინ რთულია რამე გააკეთო ისე, რომ მისი ხარისხი საბოლოო ჯამში შენარჩუნდეს სწორედ მატერიალური ფაქტორი ერთ-ერთი სერიოზულია, რომელიც ემყარება განვითარებას. თუმცა თვით ლიბერალებშიც კი არსებობს განსხვავებული შეხედულებები არსებობს ეკონომიკის მოწყობასთან დაკავშირებით, ლიბერალიზმი იყოფა ორ ურთიერთდაპირისპირებულ მიმართულებებად ესენია კლასიკური, რომელიც სახელმწიფოს მინიმალურ როლს და თავისუფალი ბაზრის ეკონომიკას ქადაგებს და აღნიშნულისგან განსხვავებით თანამედროვე ლიბერალიზმი სახელმწიფოს როლს ანიჭებს პრიმატს სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და მას მეოცე საუკუნის ლიბერალიზმსაც უწოდებენ.

ისინი თვლიან,რომ საქართველოში შესაძლებელია უფრო მეტი აქტორი იყოს ანუ უფრო მეტი აქტიური მოთამაშე იყოს ბაზარზე, ის გარკვეულ შემთხვევებში ერეოდეს ეკონომიკაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უნდა ზღუდავდეს ეკონომიკას თუმცა სახელმწიფო ერთგვარ განმავითარებლის როლში უნდა გამოდიოდეს.

არსებობენ მიმდევრები რომლებსაც **კონსერვატორებს** უწოდებენ, რაც შეეხება კონსერვატორების ეკონმიკას - უპირატესობას ანიჭებენ ბიზნესში სახელმწიფოს პრაგმატულ თუმცა შეზღუდულ ჩარევას, ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი აცნობიერებენ იმ საშიშროებას, რაც სოციალურ არასტაბილურობას და „უხილავ ხელს“ თან ახლავს. კონსერვატორებს აქვთ ერთი საინტერესო მიმართულება, რომელიც მსოფლიოში არის საკმაოდ პოპულარული ეს არის **სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეა** და ითვლება, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ძალიან

სერიოზული მიმდევრობა გლობალურ პრობლემებზე საპასუხოდ, ის წარმოადგენს შუალედურ მოდელს უმართავ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. ისინი თვლიან რომ რათქმაინდ არ არის აუცილებელი ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა მაგრამ საჭიროა არსებობდეს სახელმწიფო, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ბაზარზე წესრიგის დაცვას და აქ სახელმწიფოს შედარებით მაღალ როლზეა საუბარი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა ევროპაში საკმაოდ წარმატებული მოდელია განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს გერმანიაში, გერმანელ ლიბერალებსაც კი საკუთარ საარჩევნო პროგრამაში ჩაწერილი აქვთ, რომ ეფუძნებიან სოციალური საბაზრო ეკონომიკის ბიზნესს.

არსებობს კიდევ ერთი სერიოზული მიმართულება, რომელსაც **სოციალისტებს** ვუწოდებთ - ისინი მთლიანობაში უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებრივ საკუთრებას და სოციალურ თანასწორობაზე აკეთებენ აქცენტს. დღეს თანამედროვე ევროპაში სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ სახეს წარმოადგენს **სოციალური დემოკრატია**, რომელიც კაპიტალიზმთან შედარებით უპირატესობას ბაზარსა და სახელწიფოს შორის ბალანსს ანიჭებს. სოციალ-დემოკრატები ემხრობიან ეგრეთწოდებულ საყოველთაო კეთილდღეობის იდეას, ანუ კაპიტალიზმი უნდა იყოს რეგულირებადი, მათ აქვთ ასეთი პრინციპი - „ბაზარი კარგი მსახურია, მაგრამ ამავდროულად უხეირო ბატონი“ ჩვეულებრივ ისინი რეგულირებად საბაზრო ეკონომიკას უჭერენ მხარს და თვლიან, რომ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა არის უფრო მეტი გარანტია იმისა, რომ ქვეყანაში არ წარმოიქმნას სოციალური თანასწორიბის თუ ასე შემდეგ, გარკვეული ტიპის პრობლემები.

მთლიანობაში ეკონომიკურ სისტემებს და სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში თუ შევხედავთ შესაძლებელია სამი ძირითადი ეკონომიკური მიმართულება/სისტემა გამოვყოთ განხილული იდეოლოგიებიდან გამომდინარე ეს არის

- კაპიტაილიზმი (საბაზრო ეკონომიკური სისტემა;
- კომუნიზმი (გეგმური ეკონომიკური სისტემა;
- სოციალიზმი (შერეული სისტემა.

საქართველოში სამწუხაროდ არის ასეთი რეალობა, რომ ეკონომიკური სისტემა- კომუნიზმის გამოცდილება გაცილებით მაღალია და გაცილებით დიდი, ხოლო რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის სისტემის გამოცდილებას დაახლოებით ოციოდე წელს ითვლის და ამ კუთხით ვერ ვიტყვით რომ საქართველოს ეკონომიკა წარმატებულია რადგანაც საქართველოში არის უამრავი ადამიანი, რომელთა ეკონომიკური შეხედუმლებები უპირატესად ძალიან გავს გეგმიურ ეკონომიკური სისტემის მოდელს და იდეას ვიდრე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კაპიტალიზმის სისტემას მთლიანობაში.

არსებობს იმის მოდელებიც თუ როგორ ხდებოდა კომუნიზმის წარმატებული გარდაქმნა კაპიტალიზმად და კომუნიზმის წარუმატებელი გარდაქმნა კაპიტალიზმად, მაგალითად ჩინეთში საკმაოდ საინტერესოდ კომუნიზმის მოდელის კაპიტალიზმის მოდელისკენ ცვლა განხორციელდა გაცილებით უფრო წარმატებულად მაგალითად რუსეთში კომუნიზმიდან კაპიტალიზმისკენ სვლა განხორციელდა წარუმატებლად უფრო მეტიც ამ შემთხვევაში თავი იჩინა სხვადასხვა ტიპის კლანურმა შეხედულებებმა, რომლებმაც მთლიანობაში რუსული ეკონომიკა გაცილებით უკან კომუნიზმისკენ წაიყვანეს ვიდრე საბაზრო ეკონომიკური სისტემისკენ, რაც გამოიწვია კლანების საერთო ინტერესმა, თავისთავად ცხადია, როდესაც იგივე შეეხება ვთქვათ მეზობლებთან სავაჭრო ურთიერთობებს გაცილებით მნიშვნელოვნია და გაცილებით უფრო სტაბილურია ორი საბაზრო ეკიონომიკის მქონე ქვეყნნებს შორის ურთიერთობა ვიდრე სხვა რომელიმე სისტემის პირობებში, როცა მეტი აქცენტირება ხდება უფრო თავისუფალ არჩევანზე, ინდივიდის თავისუფალ გადაწყვეტილებებზე.

საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად თუ სად განხორციელდება ბიზნესი, რომელი ეკონომიკური სისტემა გვხვდება და რა გამოწვევების წინაშე დავდგებით იმისათვის, რომ ჩვენი საქმიანობა განვახორციელოთ უფრო წარმატებულად.

1.2 ბიზნესი(მეწარმეობა), როგორც ეკონომიკური კატეგორია

სამეწარმეო საქმიანობა განისაზღვრება, როგოც არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ახორციელებს თავის საქმიანობას დამოუკიდებლად.

საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს, ეწევს მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილებაზე, იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ანუ ფიზიკური ან იურიდიული პირი.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სააქციო საზოგადოება
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- კოოპერატივი
- ინდივიდუალური მეწარმე (ფიზიკური პირი)

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის მომენტიდან, დამფუძნებელი პასუხისმგებელია ნებისმიერ მოქმედებაზე მთელი თავისი ქონებით, მოქმედებიდან წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულებებისთვის.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება-ში რამოდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და როგორც ინდივიდუალური მეწარმედ რეგისტრაციის შემთხვევაში, სოლიდარული პასუხისმგებლობის ყოველი პარტნიორი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე აგებენ პასუხს შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წევრი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

კომანდიტური საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ეწევა ეკონომიურ საქმიანობას და ამასთან ერთად ერთი ან რამდენიმე კომანდიტი (პარტნიორი) აგებს პასუხს, საზოგადოების კრედიტორების წინაშე

განსაზღვრული თანხის გადახდით, ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის. კომპლემენტარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის ისეთი საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობაც შემოიფარგლება საზოგადოებაზე რეგისტრირებული ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა იმ წილით, რითაც ის შესულია საწესდებო კაპიტალში. შპს-ს დარეგისტირება შეუძლია ერთ მომხმარებელსაც.

სააქციო საზოგადოება - აქვს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების აქტივებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი, რომელიც სულ მცირე უნდა შეადგენდეს 15000 ლარს.

კოოპერატივი -არის წევრების მიერ დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც შრომით საქმიანობაზეა დაფუძნებული და მისი მიზიანია წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და მისთვის მოგების მიღება არ არის უპირატესი.

საწარმოები იყოფა ზომის მიხედვით: მსხვილი, საშუალო და მცირე. ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა საწარმოებისა ესადაგება მცირე და საშუალო საწარმოებს. განვიხილოთ საწარმოები ზომის მიხედვით, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობებს.

საწარმოს ტიპი	დასაქმება საშუალო წლიურად.	ბრუნვა (კალენდარული წლის განმავლობაში)
მცირე საწარმო	50	12 მლნ. ლარი
საშუალო საწარმო	249	60 მლნ. ლარი
მსხვილი საწარმო	>249	>60 მლნ.ლარი

2011 წლის იანვრიდან, გამისაზღვრება მცირე ბიზნესის განსხვავებული კრიტერიუმები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება ისეთ მეწარმეს, რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდური წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება ისეთ მეწარმეს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ იყენებს დაქირავებულ შრომას და მისი ჯამური ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს.

სტატუსის ტიპი	ჯამური ერთობლივი შემოსავალი (კალენდარული წლის განმავლობაში)
მიკრო ბიზნესი	არაუმეტეს 30 000 ლარისა
მცირე ბიზნესი	არაუმეტეს 100 000 ლარისა

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება, ემყარება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რიცხობრიობას. საშუალოა საწარმო თუ მისი წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს და მასში დასაქმებულთა რიცხვი მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე. მცირე საწარმოში კი დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 20 დასაქმებულ პირს და მისი წლიური ბრუნვა აღემატება 500 ათას ლარს.

განვიხილოთ თუ რა არის ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესი, რა პრობლემების წინაშე დგას ის და როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ამ თემასთან დაკავშირებით და რეალურად გვაქვს თუ არა ამის რეალური რესურსი. თემის აქტუალურობდან გამომდინარე მოგეხსენებათ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი შეიცავს ძალიან დიდ პოტენციალს, სოციალური პრობლემების, ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად ქვეყნის წარმატებული მომავლის საწინდარია საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რაც ვფიქრობ არის ქვეყნის ხერხემალი განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. ბიზნესის წარმატებული მომავალი ეკონომიკური საქმიანობისთვის, აუცილებელია გარკვეული ინფრასტრუქტურა, ერთიანი ხედვა, სტრატეგიები, რომლებიც გააერთიანებს სხვადასხვა დაწესებულებების სახელმწიფო სტრუქტურების ძალისხმევას.

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში დაახლოებით 82%-ია, ხოლო 8% ია დიდი ბიზნესი. სამწუხაროდ დიდი ბიზნესი ქმნის მთელი წარმოების, შიდა პროდუქტის 80%-ს, აქედან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობა ძალიან დაბალია, გარდა ამისა ძალიან დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით დასაქმებაც, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რომლითაც ცნობილია მცირე ბიზნესი. მაგალითად გერმანიაში 60-62% მოსახლეობის დასაქმებულია მცირე და საშუალო ბიზნესში მიუხედავად იმისა რომ გერმანიაში დიდი ბიზნესი საკმაოდ

კარგად არის განვითარებული, ესპანეთში მცირე და საშუალო ბიზანესით დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი 78%-ს წარმოადგენს.

სამწუხაროდ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ვერ ქმნის დღეს იმ მაშტაბის პროდუქტს, რომელმაც შეიძლება საერთო შიდა პროდუქტში დაიკავოს დიდი წილითი ხვედრი. გამოსავლიანობა არის ძალიან დაბალი იქედან გამომდინარე, რომ ბიზნესის დაწყება START-UP რთულია მიმდინარე ვითარებებში და თუ ვიწყებთ ბიზნესს მისი შენარჩუნების დონე ძალიან დაბალია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბიზნესის დაწყება საქართველოში არ არის თითქოს რთული თუმცა სტატისტიკური მონაცემები რეალობას არ შეესაბამება, თუ განვიხილავთ ბიზნესის დარეგისტრირებას ადმინისტრაციული კუთხით მაშინ ეს ეტაპი საკმაოდ მარტივია და ასევე გადასახადების კუთხით, საქართველოში ძალიან დაბალია გადასახადები პროცენტული და თანხობრივი კუთხით, არის სტატუსები, რომელიც მცირე ბიზნესზე არის მორგებული და პრატიკულად შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევები, რომ გადასახადის გადახდა საერთოდ არ მოუწიოს მცირე ბიზნესის წარმომადგენელს, თუმცა თანხებზე ხელმისაწვდომობის კუთხით რათქმაუნდა ძნელია, ყოველ შემთხვევაში მეტ ნაკლებად ხერხდება ბიზნესის დაწყება მაგრამ წელიწალში, წელიწად ნახევარში ვერ ლახავენ გარკვეულ ბარიერებს და გარკვეულ შემთხვევებში კოტრდებიან, იხურებიან. ზოგადად აქ გვხვდება უფრო სამეწარმეო და სამუშაო კუთხით პრობლემები და ასევე სახელმწიფო პოლიტიკაში. საჭიროა ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, ბოლო წლებში სახელწიფოს ჩართულობა უფრო მაღალი და აქტიურია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში 20-25 წელია, რაც აქტუალურია ბიზნესის თემა, გარკვეული თაობების ცვლა და გარკვეული დრო სჭირდება, რომ ბიზნეს კულტურა შემოვიდეს და დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არის ისეთი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ საკუთარი ისტორიის 10-15 წლის გამოცდილება, თუმცა მათი რიცხვი ძალიან ცოტაა.

თუ გავიხსენებთ წინა პერიოდს, საბჭოთა კავშირის დროს როცა დაიწყო ე.წ. პრივატიზაცია -კერძო ბიზნესის შემოსვლა, მაშინ საქართველოში მცირე მეწარმეობა ძალიან სწრაფად განვითარდა და რეალურად იქმნებოდა დოვლათი და პროდუქტი,

მოგვიანებით, როცა საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია დამძიმდა საშუალო და მცირე მეწარმეობა გადავიდა არა წარმოებაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო სეგმენტზე. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში (2008წ.-2013წ.) მოხდა ე.წ. ბიზნესის მცირე ნაწილი ანუ მსხვილი ბიზნესი იკავებდა ბიზნესის ძირითად ნაწილს, ხოლო საშუალო და მცირე მეწარმეები გახდნენ მათი სატელიტები, ისინი მხოლოდ და მხოლოდ გამოიყენებოდნენ დიდი ბიზნესის პროდუქტების რეალიზების ან დისტრიბუციის თვალსაზრისით. მცირე და საშუალო სამეწარმეო ბიზნესი კლასიკური გაგებით უნდა იყვნენ მეწარმეები, რომლებიც ქმნიან ნოვაციურ და ინოვაციურ პროდუქციას, რომლებიც სწორედ მრეწველობის სეგმენტში არიან და არა სატელიტების სეგმენტში, მაგრამ რეალურ სიტუაციაში მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობა გადავიდა კომერციაში. კომერციულ ნაწილში, ზედმეტად კონცენტრირებული კონკურენცია გამოდის და თითოეულ მათგანს ამ საქმიანობის უკვე იმდენად პატარა წილი ხვდებათ, რომ ეს ვერ განავითარებს მათ, ეს გამოიწვევს მათი შემოსავლების სისტემატიურ დაწვრილებას, ანუ სულ უფრო და უფრო წვრილდება მათი შემოსავლების შესაძლებლობები, რადგანაც შიდა კონკურენცია მცირე და საშუალო სამეწარმეო ბიზნესებს შორის ძალიან დიდია, სარეალიზაციო პროდუქცია და მათი რაოდენობა საბაზრო სეგმენტში მოთხოვნა-მიწოდების არანაირ სტანდარტში არ ჯდება. საბოლოო ჯამში თუ დავაკვირდებით კომერციულ სფეროშიც არის რიგი განსხვავებები გარკვეული წესით და მათი ადგილი აქაც არ რჩება. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად თუ სახელწიფო ბიზნეს სექტორში ჩაერევა ხისტად და ხელოვნურად პროპორციების გადანაწილება არ იქნება ეფექტიანი აქ უნდა მოხდეს უფრო ევოლუციურ გზაზე მსჯელობა თუ დავაკვირდებით, ამავდროულად უფრო ფუნდამენტალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უნდა შეჩერდეს აქცენტი. რეალურად დღეს საფონდო ბაზარი საქართველოში არ არის განვითარებული ანუ აქტივები არ არის კერძო საკუთრებად ფორმირებული, შესაბამისად ვერ იქნება ის ნიადაგი რამაც პირველ რიგში ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესს.

ეკონომიკური თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ რეგისტრაციის და საგადასახადო თავისუფლებას ის უპირველესად არის სამეორნეო საქმიანობის თავისუფლება და სწორედ სამეორნეო საქმიანობის თავისუფლება უნდა გააჩნდეს

სამეურნეო სუბიექტებს. თუ დავკონკრეტდებით ალტერნატივები იზრდება, თუ აქტივები, რომლებიც დღეს არის სახელმწიფოს მფლობელობაში გაჩერებული, ჩაერთვება ბრუნვაში, განკერძოვდება და კერძო საკუთრების ფორმირება დასრულდება, ხოლო მანამდე რეალურად აფსოლიტურად სწორად ეკონომიკის კანონების თვალსაზრისიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტი გადმოერთო ვაჭრობაში, რისი მთავარი მიზეზიც ფულადი სახსრების მოუწვდომლობაა. როდესაც სუბიექტი სთავაზობს ბანკს თუნდაც უძრავი ქონების, მიწა იქნება ეს თუ შენობა-ნაგებობა, სანაცვლოდ თანხისა და ითხოვს კრედიტს - თუ სახელმწიფო არ ჩაუდგება გარანტში სუბიექტს, თანხის მოზიდვის საშუალება ფაქტიურად არარსბობს. გამოდის, რომ საპირწონე, საფინანსო სისტემაში არ ჩანს. საბანკო სისტემამ რეალურად საფინანსო სეგმენტის ყველა ფინანსები თავისი მიმართულებით მიმართა, რაც გამოიხატება სამომხმარებლო სესხების გაცემაში.

საფონდო ბაზარი უნდა შემოვიდეს ბაზარში, რადგანაც საბაზრო ბაზარს და საფონდო ბაზარს შორის კონკურენცია ზრდის იაფ ფულზე ხელმისაწვდომობას.

იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა აღიდგინოს თავისი კლასიკური ფუნქცია და დაბრუნდეს სამეწარმეო პროცესებში, ამისათვის საჭიროა მთლიანი სისტემური მართვა, რაგდანაც სამეწარმეო პროცესების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს ძალიან ნელა, პირობითად თუ ავიღებთ ქათმების წარმოებას, საჭიროა წიწილის გამოჩეკვა კვრცხიდან - ამისთვის საჭიროა პირობითად 14-21 დღე.

სამეწარმეო სფეროში საქართველოს ძალიან უჭირს, ძირითადა გვაქვს ღვინის მრეწველობა, თხილის წარმოება, რომელიც უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტია, ბუნებრივი რესურსები, მაგალითად წყალი და ა.შ. და ბოლო წლებში რაც ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას, გაჩნდა ინოვაციურ ტექნოლოგიური სააგენტო, რომელმაც დაიწყო start-up-ებში ჩართვა, კონკურსების მოწყობა, ახალგაზრდების მოზიდვა და ჩართულობა ამ მიმართულებით დაიწყო კლასტერების შექმნა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამრეწველო სეგმენტზე პროფესიული განათლების ნაწილში. სწორედ ეს არის იმის ჩანასახი, თუ როგორი უნდა იყოს კლასტერული და სისტემური მიდგომა, რომ მთლიანად მოხდეს ამ ყველაფრის ამუშავება.

მაგალითისთვის მანქანის შემთხვევაში თუ გაქვთ მხოლოდ ძრავი და ძრავის დანარჩენი ნაწილები არ არის კონსტრუქციაში ის მანქანა ვერ იმუშავებს, გარდა ამისა საჭიროა სტრატეგიული ხედვა ნებისმიერ მიმართულებაში, ამ ყველაფრის გაერთიანება ერთიან სისტემაში.

თვალსაჩინოებისთვის თუ 20 000 ჰექტარზე გაშენებულია თხილის პლანტაცია, მაშინ როდესაც ჩაის პლანტაციები, რომელზეც ეკალ-ბარდებია გადასული აფსოლიტურად გამოუყენელია, შინაური ცხოველიც კი ვერ ღებულობს მისგან სარგებელს და ელემენტაულად ვერ შედის და ბალახითაც ვერ იკვებება გამოდის, რომ ეს აქტივი არის აფსოლიტურად გამოუყენებელი, რაც გამომდინარეობს განკერძოების პროცესის დაუსრულებლობაში. სამწუხაროდ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობის გამო ქვეყანაში საშუალო ფენა არ არსებობს, არც იმის შესაძლებლობა არსებობს, რომ დაბალ ფასად შეძლონ რესურსის შეძენა. სახელმწიფოს აქტიური ჩარევით იქნება მხოლოდ შესაძლებელი პრივატიზაციის პროცესი. პრივატიზაციის მთავარი მიზეზი ფინანსების ბიუჯეტში მოზიდვა კი არ არის, არამედ აქტივების სწორად ამუშავების პროცესია მისი უპირველესი ფუნქცია. სწორედ პრივატიზაციის პროცესით მიიღწევა და შეიქმნება საშუალო მესაკუთრეთა ფენა, რომლებიც ამუშავებენ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს და მათ უჭირავთ წამყვანი და ცენტრალური როლი ეკონომიკის განვითარებაში.

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა, მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს (12,3%). 2008 წლის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ომის პირობებში საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მდგრადი აღმოჩნდა, ამ წელს მშპ-ს ზრდა 2.5% იყო. ხოლო 3,7%-ით შემცირდა 2009 წელს, თუმცა პრობლემა სწრაფად აღმოიფხვრა და 2010 წელს მშპ-ს ზრდამ 6,2% -ს მიაღწია. 2013 წელს მშპ-ის ზრდა დაფიქსირდა 3,4%-ი, ზრდის ტენდენციის შემცირე გამოიწვია უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირებამ, თუმცა 2014 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,6%0ით გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეგიონებში და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნეში არსებობდა არახელსაყრელი გარემო ეკონომიკის ზრდისთვის, ეკონომიკური ზრდის

ტემპი დაეცა, ლარის კურსი გაუფასურდა, ექსპორტი და საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები შემცირდა.

2014 წელს, მშპ-ს დიდი წილი ვაჭრობაზე, ტრანსპორტზე, მრეწველობაზე და კავშირგაბმულობაზე მოდიოდა, ასევე ამ პერიოდში ქვეყანაში მოქმედებდა 5 ყველაზე მზარდი სექტორი - მშენებლობა -13,1% ; საფინანსო სექტორი -9,9% ; უძრავი ქონება - 8,1% ; სასტუმროები და რესტორნები - 7,3% ; ვაჭრობა - 5,8% და სატრანსპორტო სექტორი 5,8%.





2014 წელს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, რამაც საქართველოს ეკონომიკას დადებითი პერსპექტივები დაუსახა.

2004-2014 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ექსპორტი და იმპორტი დაახლოებით 4,6-ჯერ გაიზარდა. 2014 წელს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა დაფიქსირდა 11,5მლრდ. აშშ დოლარი, ექსპორტი - 2,9 მლრდ. დოლარი, იმპორტი - 8,6 მლრდ. დოლარი. ამ პერიოდში ყველაზე მაღალმოთხოვნად საექსპორტო პროდუქციას შეადგენდა თხილი, ღვინო, ავტომობილები, ფეროშენადნობები, სპოლენძის მადნები და კონცენტრანტები. რაც შეეხება საიმპორტო პროდუქციას, მოცემულ პერიოდში ყველაზე მოთხოვნადი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, სატელეფონო აპარატები, მედიკამენტები.

საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი და უკრაინა. საქართველოს საგარეო

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 2993,8 მლნ. აშშ დოლარი 2014 წელს.

2021 წლის იანვარში საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 62,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის იანვრის თვესთან შედარებით 16,5 პროცენტით ნაკლებია. ექსპორტი 224,4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს რაც წინა წელთან შედარებით 16,2%-ით ნაკლებია, ხოლო იმპორტი 538,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა რაც

2020წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით 16,6 %-ით ნაკლებია. 2021 წლის იანვარში, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 313,6 მლნ, აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 41,1%-ს შეადგენს.

საინვესტიციო, სამეწარმეო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესებამ საქართველოში, ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

2007წელს, ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ში 20%-ს მიაღწია. 2006-2014 წლებში 9,8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, აქედან 2008 წელს განხორციელდა მაქსიმალური ოდენობის 537,7მლნ. აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცი, ომის გამო 2009 წელს ინვესტიციების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა-114მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2009 წლიდან კვლავ დაიწყო ზრდის ტენდენცია.

2014 წელს ინვესტიციებმა, უმსხვილესი წილი დაიკავა მშპ-ს მთლიან მოცულობაში, მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ის სექტორები, რომლებიც ყველაზე უფრო მიმზიდველია უცხოური ინვესტორებისთვის, მათგან ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობამ შეადგინა, მთლიანი ინვესტიციების 25%, მშენებლობა-18%, გადამამუშავებელი მრეწველობა-12%, ენერგეტიკა -11%, უძრავი ქონება - 8%, სასტუმროები და რესტორნები - 7%, ფინანსური სექტორი - 6%.. 2016 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელდა 376,4 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პირდაპირი უცოური ინვესტიცია.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2016-2021წ.

იანვრის მდგომარეობით

(მლნ. აშშ დოლარი)



2016 წლის მდგომარეობით განხორციელებული ინვესტიციების 53% მოდის ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, მეორე ყველაზე დიდი მიმზიდველი სექტორია საფინანსო სექტორი 15%, მესამე ადგილს იკავებს ენერგეტიკის სექტორი -11%-ით.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2020 წელს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები 52,9%-ით შემცირდა 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, რაც 616,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. შემცირების უმთავრესი გამომწვევი მიზეზი რამდენიმე საწარმოს გადასვლა რეზიდენტის საკუთრებაშია, რის შედეგადაც შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2015-2020 წლებში

(მლნ.აშშ ლარი)



2020 წელს, ყველაზე მეტი ინვესტიცია ქვეყანაში გაერთიანებული სამეფოდან შემოვიდა-37,8აშშ დოალრი, ნიდერლანდებიდან შემოვიდა 172,1 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია, თურქეთიდან 108,1 მლნ.

სამეწარმეო საქმიანობაში 2006-2014 წლებში ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3,4 ჯერ გაიზარდა და 2014 წელს 50მლრდ. ლარი შეადგინა. დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 361 000-დან 592 147-მდე.

2014 წლის მდგომარეობით ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოვიდა ვაჭრობაზე 23,5%, მრეწველობაზე- 16,6% მშენებლობაზე 11,4% უძრავი ქონება -10%. ტრანსპორტი და კავშილგაბმულობა 10%, ჯანდაცვა 9,8%. საშუალო ტვიური შრომითი ანაზღაურება 286ლარიდან 801 ლარამდე გაიზარდ.

2006-2014 წლებში სამეწარმეო სექტორის მიერ შექმნილი დამატებიტი ღიებულება 3,5 მლრდ. ლარიდან 12,8 მლრდ. ლარამდე გაიზარდა.

1.3 ბიზნესის განვითრება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

XX საუკუნის შუა პერიოდში, როცა ბიზნესის თანამედროვე სისტემა ჩამოყალიბდა საბოლოო სახით და შეიძინა მთლიანობაში დამახასიათებელი თვისებები სწორედ ამ დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა გადაიქცა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად.

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის ეროვნული მოდელები ეტაპობრივად ინტეგრირდება ბიზნესის ერთიან მსოფლიო სისტემაში, აქედან გამომდინარე, ბიზნესის სისტემური ინტეგრაცია იძენს საერთაშორისო მნიშვნელობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამშრომლობა მათ ქვეყნებს ეკონომიკურ აღორძინებას და სტაბილურობას მოუტანდა.

ბიზნესის სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციის იდეა ეკუთვნოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რობერტ შუმანს, რომელიც რეალიზდა პარიზის ხელშეკრულებაში 1951წელს. ხელშეკრულება დამტკიცდა ექვსი ქვეყნის მიერ საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების მიერ, ასევე პარიზის ხელშეკრულების შესაბამისად დამტკიცდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული საზოგადოების გაერთიანება, რომელშიც თავიდანვე შევიდა პარიზის ხელშეკრულების დამდები ექვსივე სახელმწიფო. უნდა ითქვას, რომ პარიზის ხელშიკრულება ხორციელდებოდა დიდი წარმატებით.

1957 წელს ჩამოყალიბდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანება რომის ხელშეკრულების მიერ, რომელშიც 1973 წელს შევიდა დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია, 1981 წ. - საბერძნეთი, 1986 წ. - პორტუგალია და ესპანეთი, 1995 წ. - შვედეთი, ფინეთი და ავსტრია. 1992 წელს შედგა და ხელი მოეწერა ავროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებას. 2004 წლის 1 მაისს ოფიციალურად ევროკავშირის ქვეყნებად გამოცხადდნენ ჩეხეთის, სლოვენიის, სლოვაკეთის, ლიტვიის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის, უნგრეთის, მალტის და კვიპროსის სახელმწიფოები. ევროკავშირის შექმნას თან დაერთო დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სახელწიფო საზღვრების ლიკვიდაცია და დასავლეთ ევროპის ქვეყნების გადასვლა ევროზე, რომელიც ქვეყნების უმრავლესობისთვის წარმოადგენდა საერთო ვალუტას.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესი უპირველესად **საფრანგეთთან** მოიაზრება, საფრანგეთში მცირე ბიზნესი საუკუნეების მანძილზე არსებობდა და მას მისი

კანონზომიერება ახასიათებს. მცირე ბიზნესმა საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა, ძირითადად აქ მცირე ბიზნესის სექტორში წარმოება იგულისხმება. ასეთი საწარმოების რიცხვი 3 მილიონს აღემატება. საფრანგეთში შეიქმნა მცირე ბიზნესის სტიმულირების გასაოცარი სახელმწიფო სისიტემა, რაც გულისხმობს ახალი ბიზნეს სუბიექტების 2 წლით საგადასახადო და ადგილობრივი გადასახადებიდან გათავისუფლებას და ასევე საშემოსავლო საგადასახადო გადასახადის შემცირებას, გარდა ამისა შექმნილია სპეციალური მხარდასაჭერი პროექტები, რომლის ფარგლებშიც ხდება ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება იმ ადამიანებზე რომელთან სურვილი აქვთ მცირე სამეწარმეო ბიზნესის დაწყების, მათ შეუძლიათ მიიღონ სრულიად უსასყიდლოდ სპეციალური სამეწარმეო სახელმძღვანელოები, იურიდიულ, საბუღალტრო და და მენეჯმენტის ნაწილში კონსულტაციები.

მცირე ბიზნესი საფრანგეთში ქმნის ახალი სამუშაოების 50%-ს, რომელიც უპრეცედენტოა ეკონომიკის განვითარებაში. საფრანგეთში მუშა ხელის 15% უმუშევარია, რაც სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ადამიანების დასაქმება ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

გაერთიანებულ სამეფოს აქვს მსოფლიოში მეექვსე დიდი ეკონომიკა იაპონიის, აშშ-ს, იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთისა და გერმანიის შემდეგ. ბრიტანეთის მშპ-ის ყველაზე დიდი წილი მოდის მომსახურებაზე წარმოებაზე მშენებლობაზე და ტურიზმზე.

მომსახურების სექტორი, რომელშიც შედის ბევრი ინდუსტრია, მათ შორის ფინანსური, საცალო ვაჭრობისა და გართობის, წარმოაგენს მშპ-ის ¾-ზე მეტს ხოლო მცირე ბიზნესი, წარმოების სფეროში 21%-ზე ნაკლებია, რაც შეეხება სოფლის მეურნეობას ის შეადგენს მშპ-ის 0,60%-ს.

ბიზნეს სექტორში, ყველაზე წარმატებული და ყველაზე დიდ სექტორს გაერთიანებულ სამეფროში, წარმოადგენს მომსახურების სფერო.

აღსანიშნავია, რომ გაერიანებული სამეფოს ეკონომიკამ COVID-19 პანდემიის დროს, კერძოდ პირველი ტალღის გამოცხადების შემდეგ, დრამატული შედეგი განიცადა, მშპ-მა რეკორდული შემცირება განიცადა 20,4%-22,1%ით. ხანგრძლივი შეზღუდვების დაწესებამ გამოიწვია ბრიტანეთის ყველაზე დიდი სექტორის,

მომსახურების სფეროს გაჩერება და გარდა ამისა ქვეყნის მაშტაბით შეჩერდა როგორც წარმოების ასევე მშენებლობის პროცესი.

გერმანიის ეკონომიკა უმძლავრესია ევროპაში. 2009 წლის მონაცემების თანახმად მშპ-ის ნომინალური საერთო მოცულობით, მეოთხე ადგილს იკავებს, ხოლო მშპ-ის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გაანგარიშებით მეხუთე ადგილზეა. გარდა ამისაექსპორტის მხრივ გერმანია ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ხოლო ცხოვრების დონის მიხედვით მე-10 ადგილზეა მსოფლიოში.

მსოფლიოს მშპ-ში გერმანიის წილი 3,968% -ია ხოლო ევროკავშირში თითქმის 30%. გერმანია ინდუსტიულად განვითარებული ქვეყანაა. მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ელექტროტექნიკური ავტომობილების და გემების წარმოება წარმოადგენენე მრეწველობის ძირითად დარგებს, იშვიათი გამონაკლიების გარდა როგორიცაა ქვანახშირი, გერმანიას არ გააჩნია რაიმე სახის მნიშვნელოვანი წიაღისეული, სწორედ ამიტომ მისი ეკონომიკა მთლიანად კონცენტრირებულია მომსახურებისა და მრეწველობის სფეროებზე.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას ის გერმანიაში საკმაოდ განვითარებულია. სოფლის მეორნეობის პროდუქციიდან 70% მეცხოველეობაა, რომელიც თავისთავად მემცენარეობის მოთხოვნილებასაც განაპირობებს. შესაბამისად დიდ ფართობებზე მოყვანილია ისეთი კულტურები, რომლელიც გამოიყენება ცხოველთა გამოსაკვებად და უნდა აღინიშნოს რომ სწორედ ეს მცენარეები აღემატება იმ მცენარეთა რიცხვს, რომელსაც ადამიანი მოიხმარს საკვებად.

გერმანია ძირითადად პატარა ოჯახური ფერმების ქვეყანაა. სასოფლო სამეურნეო საწარმოების წილი მიმდინარე პერიოდისთვის 50 ჰექტარიდან 11,9-14% ამდე გაიზარდა.

ევროკავშირში მარცვლეულის წარმოების 1/5 გერმანიაზე მოდის, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ქერის წარმოებას უკავია და ის სხვადასხვა წარმოებისაა, რომელსაც ქვეყანა ძირითადად იყენებს როგორც ცხოველთა საკვებად ასევე ლუდის წარმოებისთვის. მოგეხსენებათ ლუდი ითვლება გერმანიის ნაციონალურ სასმელად. კვლევების თანახმად დამტკიცებულია, რომ ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება დაახლოებით 145ლ.-ია წელიწადში.

მესაქონლეობა სოფლის მურმეობის მთელი შექმნილი პროდუქციის 2/5-ს შეადგენს და ამასთან ერთად დაახლოებით ¼ ანუ როდუქციის ძირიტადი ნაწილი რძეზე მოდის, რძის შემდეგ მეორე ადგილზეა მეღორეობა. ქვეყანაში შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება რძესა და საქონლის ხორცზე სისტემატიურად აჭარბებს 100%-ს, მოთხოვნის მიუხედავად ღორის ხორცზე მოთხოვნის დაკაყოფილება მხოლოდ 4/5-ს შეუძლია. რძის წარმოებით გერმანია პირველ ადგილზეა ევროკავშირში, ხოლო მარცვლეულის და მეცხოელეობის პროდუქციით გერმანია მეორე ადგილს იკავებს საფრანგეთის შემდეგ.

თავი II. ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები

2.1 სახელმწიფო მხარდაჭერის როლი ბიზნესის განვითარებაში

საბაზრო ეკონომიკას, თავისი მრავალი დადებითი თვისებების მიუხედავად არ შესწევს უნარი ავტომატურად დაარეგულიროს ეკონომიკური პროცესები მცირე ბიზნესის სფეროში, ამიტომ სამეწარმეო საქმიანობის ზემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლს იკავებს სახელმწიფო.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2014 წლის თებერვალში შექმნა ორი უწყება, ესენია **მეწარმეობის განვითარებისა** და **საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.**

მეწარმეობის განვითარების სააგენტო, წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერ პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში.მის ძირითად მიზნებს წარმოადგენს დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ. მისი მთავარი ფუნქციებია : სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად; მეწარმეებზე დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით, დონორებთან და ფინანსურ ისტრუმენტებთან ურთიერთობაში; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - არის ცოდნისა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ძირითადი უწყება. მის მთავარ მიზნებს წარმოადგენს ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციების, კვლევებისა და განვითარების სტიმულირება, დამწყები კომპანიების start-up ფორმირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სამეცნიერო და ბიზნეს

სექტორებს შორის ხელშეწყობა; ინტერნეტის მაღალსიჩქარიანობის განვითარება და მისი ეფექტურად გამოყენება და ა.შ.

სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ინოვაციების და თანამედრობე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობის განვითარებაზე ორიენტირებულობა, კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა, ინოვაციური პროექტების და პროდუქტების მხარდაჭერა; კვლევებისა და განვითარებისთვის პროგფრამების განხორციელება; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის მაშტაბით, საყოველთაო ციფრული და კომპიუტერიზაციის პროცესების ფორმირება და ა.შ.

მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მიზანმიმართული მომსახურების გასაწევად საჭიროა მეწარმეობის განვითარების, ინოვაციებისა და ტექოლოგიების სააგენტოების ინსტიტუციური გაძლიერება.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერი რამოდენიმე ბიზნეს ასოციაცია. მოკლედ მიმოვიხილოთ რამოდენიმე მათგანი:

- **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა:** იგი დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მის მთავარ ფუნქციებს წარმოადგენს ბიზნესისთის საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების გაწევა, ბიზნესის დაგეგმვის და ბიზნეს უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა არის ნებაყოფლობითი, მიმდინარე პერიოდუსთვის პალატაში შედის 1007 წევსი, მათგან მცირე მეწარმეთა პროცენტული მაჩვენებელი 90%-ია. წევრობის გადასახადი 0-10000 ლარამდე მერყეობს და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. წევრობის გადასახადს არ იხდიან მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოები. პალატას აქვს ხუთი ოფისი სხვადასხვა რეგიონებში.
- **საქართველოს დამსაქმებელტა ასოციაცია:** ასოციაციაც დაფუძნებულია დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახით, მასში გაერთიანებულია 1 000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესი. იგი ძირითადად ახდენს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მხირე და საშუალო მეწარმეებისთვის, სამეწარმეო ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის ასოციაცია ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას. ასოციაციას წევრობა 600 აშშ დოლარიდან 2000 აშშ დოლარამდე მერყეობს საწარმოს სიდიდიდან გამომდინარე.

- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია** : ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშალო საწარმოთა ინტერების დაცვას და ადვოკატირებას. ორგანიზაცია აქტიურად უწევს კონსულტაციებს ბიზნესს სექტორებს სხვადასხვა მიმართულებებით და ავითარებს ბიზნეს სექტორების უნარებს. ასოციაციაში შედის 106 მცირე და საშუალო ორგანიზაცია.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო უპრეცედენტო სახელმწიფო პროგრამა **„აწარმოე საქართველოში“.** პროგრამა შეიქმნა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნისა და უკვე არსებულის განვითარების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული მიმართულებით მეწარმეთა მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების მიზნით, კერძო სექტორების კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო ზრდას ფინანსებზე, ტექნიკურ დახმარებაზე და უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობას. პროგრამასა ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისროს საჯარო სამართლის იურიდიული პირები - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციუების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის ეფექტიანობისთვის შეიქმნა სპეციალური ინტერნეტ პლათფორმა.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა ბევრი რეფორმა ბიზნესის მხარდასაჭერად, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყანაში ინვესტიციები და ბიზნეს გარემო, შემცირდა ადმინისტრაციული ბარიერები და გაუმჯობესდა სახელმწიფო სერვისები. ამის მიუხედავად მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობისთვის საჭიროა დამატებით ღონისძიებების განხორციელება.

განვიხილოთ რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარივდა ბიზნესის დაწყება და წარმოების პროცესი.

საქართველოს ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა გააჩნია, საგადასახადო პოლიტიკაში გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები საგრძნობლად შემცირდა, გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. 2009წლის „Tax Misery and Reform Index”-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოში საგადასახადო გადასახადის სიმცირის მიცედვით მე-4 ქვეყანაა არაბეთის, ჰონგ-კონგისა და ყატარის შემდეგ. საქართველოში 2006

წლამდე მოქმედებდა 21 გადასახადი, ამჟამად არსებობს 6 გადასახადი. ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკა ემსახურება კერძო სექტირის, უცხოური ინვესტიციებისთვის,ბიზნესის დაწყების და განვითარების მიმზიდველსა და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნას. საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების თანახმად ხორციელდება გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა და მისი ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

რაც შეეხება მიკრო და მცირე ბიზნესის დაბეგვრას, მცირე ბიზნესი იბეგრება 3% ან 5%-იანი განაკვეთით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი 5%-ით იბეგრება ხოლო 3%-იანი დაბეგვრა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე წარმოადგენს გაწეული ხარჯების გარდა დასაქმებულთათვის გადახდილი ხელფასისა, დამადასტურებელ დოკუმენტს იმაზე, რომ მისი ხარჯები შეადგენს ერთობლივი შემოსავლის 60%ს. მიკრო ბიზნესი საერთოდ გათავისუფლებულია საშემოსავლო და მიმდინარე გადასახდელებისგან.

მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრამ და სესაბამისმა საგადასახადო შეღავათის დაწესებამ გაამარტივა პირველ რიგში ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი და შეამცირა საგადასახადო ვალდებულებები.

საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკიდან ირკვევა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების შემდეგ რეგისტირებულია 83 231 მიკრო და მცირე საქარმო, აქედან 39 470 შეადგენს მიკრო ბიზნესს ხოლო 43 761 არის მცირე საწარმო.

საქართველოს საგადასახადო კოლექსის თანახმად, საწარმო, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 100 ათას ლარს, თავისუფლდება დღგ-ს გადასახადისგან. ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადიდან გათავისუფლებულია სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტების მიწოდებაც, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული რიგი საქმიანობები იბეგრება ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით.

მიუხედავად არსებული შეღავათებისა დებიტორები მაინც აწყდებიან სირთულეებს გადახდისუუნარობასთნ დაკავშირებით. საქართველოს კანონით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ განისაზღვრება საქარმოთა გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესები.

საქართველოში საწარმოები აწყდებიან ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებულ სირთულეებს ამიტომ საქარმოების ნაწილი რომლებიც აღარ ფუნქციონირებს ფორმალურად

ვერ ახერხებენ ბიზნესის დახურვას და წარმოდგენილები არიან ბიზნეს-რეესტრში. ახალი საწარმოს დაფუძნება უფრო მარტივია ვიდრე არსებული საწარმოს დახურვა შესაბამისად რეგისტრირდება ახალი ორგანიზაცია პირზე რომელსაც უკვე აქვს კონკრეტული ორგანიზაცია. არსებულიდან გამომდინარე იქმნება არაზუსტი რეალური სურათი, რადგანაც მოქმედი საწარმოების რაოდენობა რეალურად არ ემთხვევა რეესტრში არსებულ საწარმოების რაოდენობას.

საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად ძალიან გამარტივებულია საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და მნიშვნელოვნად შემცირებულია შესაბამისი ხარჯები. პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე იმპორტის ტარიფები საერთოდ გაუქმდა და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი ნაცვლად 16-სა -12%, 5% და 0%. იმპორტის ტარიფი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და რამდენიმე დასახელების ინდუსტიულ სასაქონლო პროდუქტებზე მოქმედებს. 2014 წლიდან კერძოდ 1 სექტემბრიდან ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ვაჭრობა ტარიფების გარეშე ხორციელდება. საქართველოში არ არსებობს იმპორტისა და ექსპორტის შეზღუდვა რაოდენობრივი თვალსაზრისით.

2005 წლიდან ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობა 90%-ით შემცირდა, ამჟამად გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევისას, ასევე ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობისთვის და ბუნებრი რესურსების გამოყენებისთვის. ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები მნიშვნელოვნადაა გამარტივებული. ლიცენზიებზე და ნებართვებზე გადასახადის რაოდენობა განსხვავდება საქმიანობის სახეების მიხედვით.

რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობას, სახელმწიფოსთან ურთიერთობის პროცედურები, ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“ მომსახურების მიღება ძირიტადად შესაძლებელია ელექტრონულად. საქართველომ მთელი ქვეყნის მაშტაბით შექმნა უნიკალური სისტემა - იუსტიციის სახლები, სადაც ერთ სივრცეში ხდება დაახლოებით 400 სახეობის მომსახურების გაწევა რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება, როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები ასევევ კორუფციის რისკები. რაც შეეხება კორუფციას, საქართველოს მთავრობამ რიგი მნიშვნელოვანი ზომები მიიღო მის აღმოსაფხვრელად. გატარდა რეფორმები შემდეგი კუთხით : ეკონომიკის ლიბერალიზაცია რაც გულისხმობს გადასახადების რაოდენობისა და განაკვეტების შემცირებას, საბაჟო პროცედურების გამარტივებას, სახელმწიფო

მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების გაამრტივება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს ინსტიტუტების რეფორმა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის დასახული მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და შესრულების მონიტორინგი. ამ პროცესში დიდი მნშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინირებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა საჭირო სახელმწიფო უწყების ჩართულობას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ხელისუფლების თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მნიშვნელოვანია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულების გარანტიას, გარდა ამისა ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება ხდება საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, რომელიც პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში იქნება დამტკიცებული ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გათვალისწინებით. სახელწიფო ბიუჯეი წარმოადგენს დაფინანსების ძირითად წყაროს.

საქართველოს სამინისტროების და მთავრობაზე დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სასტრატეგიო დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებს, ისევე, როგორც საბიუჯეტო პროცესში ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტები.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორი ორგანიზახიების ჩართულობა, ამის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობა მჭიდროდ და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერტაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა მოხდეს რესურსების მობილიზაცია, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის მიღების მიმართულებებით, რაც მიზნად ისახავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტიანად.

რაც შეეხება მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას სტრაატეგიის და სამოქმედ გეგმის მიმდინარეობისას, მონიტორინგ ახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც შედგება მინისტრის მოადგილეებისა და სახელწიფო უწყებების ხელმძღვანელებით და მათ ხელმძღვანელობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრები იმართება წელიწადში ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში საკორდინაციო და სამუშაო ჯგუფის წევრ(ებ)ის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია დამატებითი შეხვედრების გამართვა.

სტრატეგიისა და სამოქედო გეგმის განხორციელების წლიურ და ექვს-თვიან ანგარიშებს ამზადებს სამუშაო ჯგუფი, რომელსაც განიხილაბენ ჯგუფის შეხვედრებზე რის შემდეგაც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული მხარების ჩართულობაც განისაზღვრება, საჯარო და კერძო დიალოგები გაიმართება ექვს თვეში ერთხელ.

ევროპული ქვეყნების მცირე მეწარმეობამ თავისი განვითარების რამოდენიმე ეტაპი განვლო, თითო ეტაპი ასახავდა შესაბამისი ეპოქის მახასიათებელ ნიშან თვისებებს. თვალსაჩინეებისთვის განვიხილოთ თითოეული ეტაპი.

ეტაპი	პერიოდი	მახასიათებელი თავისებურებები
	თანამედროვე კაპიტალიზმი	
I	მე-19 საუკუნის დასასრული, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი -1930 იანი წლები	მცირე ბიზნესის მართვის ცენტრაიზებული სისტემა, განვიტარება - წარმოების დეცენტრალიზაციის პირობებში.
II	1940-1960წწ.	მსხვილი ფირმების კაპიტალის კონცენტრაცია და წარმოების დეცენტრალიზაცია.
	პოსტინდუსტრიული კაპიტალიზმი	
III	1970წ.	მცირე ბიზნესის აღორძინება
IV	1980-1990 წწ.	სამეწარმეო ბუმი, დეცენტრალიზაცია.
V	2000-2010	მცირე მეწარმეობის განვითარება ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სისტემაში.

განვიხილოთ დეტალურად თითოეული მათგანი, **პირველი ეტაპი** - მე-19 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის 30- იანი წლები-მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე. ამ დროს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეუანაში მოხდა მცირე საწარმოების ლიკვიდაცია, ახალმა ჩამოყალიბებულმა მცირე საწარმოებმა განიცადეს მკაცრი კონკურენცია მსხვილ ფირმებთან მიმდინარე წლებში ადგილი ჰქონდა სუსტ დიფერენცირებულ დარგობრივ ეკონომიკას. 1919-დან 1941 წლამდე ე.წ. „ომებს შორის“ - პერიოდში საფრანგეთში სხვა ვითარება იდგა, 1920-იანი წლებიდან ეკონომიკური განვითარება მიმართული იყო წარმოების დეცენტრალიზაციისკენ და მცირე საწარმოთა განვითარებისკენ, ეს პროცესი ტენდენციური გახდა და სწაფად წარიმართა, უკვე 30 - იანი წლებიდან საფრანგეთის მრეწველობის მიმდინარეობა ხასიათდება უფრო სუსტი კონცენტრაციით. დასაქმებულთა 60%-დან რომლებიც მუშაობენ საწარმოში სადაც 100კაცამდე მუშახელია - გერმანიასა და დიდ ბრიტანეთზე დასაქმებულთა 40% მოდიოდა.

მეორე ეტაპის მიმდინარეობის პერიოდში (1940-1960წწ.) მცირე მეწარმეობამ განიცადი სიღრსმისეული ცვლილებები, როგორც რაოდენობრივი თვალსაზრისით, ასევე ხარისხობრივი ცვლილებები. მეორე ეტაპის მსვლელობის პერიოდში შეინიშნებოდა მცირე

კომპანიების კაპიტალის დაბანდება მცირე მეწარმეობის სფეროში, ამავდროულად ხასიათდებოდა მცირე საწარმოებში წარმოების ტექნიკა განახლება, მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის გამოყენება თავისუფლად შეეძლოთ მსხვილ საწარმოებსაც. წარმოების გაძლიერებამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ძირითადად 50-60წლებში, გამოიწვია მსხვილი კომპანიების გაფართოება მცირე საწარმოთა შეერთების ხარჯზე, რამაც თავისთავად გამოიწვია მცირე საწარმოთა რაოდენობრივი შემცირება და ბიზნესში დასაქმებულტა რაოდენობის შემცირება. 1954-1963 წლებში მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა მთლიანად დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დიდ ბრიტანეთში - 33-დან 31%-მდე, საფრანგეთში შემცირდა 58-დან 51%-მდე, ნორვეგიაში - 70-დან 69%- მდე, გერმა-ნიაში - 40-დან 34%-მდე. ბელგიის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი შემცირებდა, როგორც რაოდენობის, ისე დასაქმებულთა რიცხოვნობის მხრივ. 1950-1960-იან წლებში საწარმოთა რაოდენობა, რომლებშიც დასაქმებული იყო 100 კაცამდე, შემცირდა 0,2%-ით საწარმოთა მთლიან რაოდენობაში, ხოლო მასში დასაქმებულთა ხვედრითი წილი კი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაო- დენობაში - 2,8%-მდე. მიმდინარე პერიოდში ასევე შეიმჩნეოდა დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდა მსხვილ საწარმოებში (მომუშავეთა 1000 კაცზე მეტი რაოდენობით). სავარაუდოდ, ეს ხდებოდა მცირე ბიზნესში დასაქმებულთა შემცირების ხარჯზე. 1907-1961 წლებში გერმანიისა და საფრანგეთის მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი გაიზარდა 22,6 და 12,3%-ით. იმავდროულად, ამ ქვეყნებში შეიმჩნეოდა ერთ სამრეწველო საწარმოში დასაქმებულთა ზრდის ტენდენცია. რამაც გამოიწვია რეცესია მცირე ბიზნესში. რეცესია განსაკუთრებით თვალში საცემია დიდი ბრიტანე საფრანგეთისა და გერმანიაში სადაც დაწყებული 1940-იანი წლებიდან 1970-იანი წლების ჩათვლით შეიმჩნეოდა მსხვილი კომპანიების ზრდა გადამამუშავებელ მრეწველობაში.

მესამე ეტაპი- 1970-იანი წლების პერიოდი, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის კრიზისს და ე.წ. „პირველი სანავტობო შოკი“ 1973 წელს. ამ ეტაპზე ევროპის ქვეყნებში, მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო მცირე ბიზნესის აღორძინება, მცირე ბიზნესი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა კრიზისისაგან. 1978 წელს ბელგიაში დასაქმებულთა 56% დასაქმებული იყო მცირე ფირმებში.

მეოთხე ეტაპი 1980-1990-იანი წლები, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მეწარმეობის განვითარების ბუმს და დახასიათდა მართვის 106 სისტემის დეცენტრალიზაციით. იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, და ევროპის სხვა ქვეყნებში დეცენტრალიზაციის და რეგიონალიზაციის მიზანს წარმოადგენდა ხელისუფლების

ადგილობრივი ორგანოებისათვის უფლებამოსილებათა გადაცემა, რაც ანიჭებდა მათ დამოუკიდებლობას ეკონომიკური საკითხების გადაჭრაში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ სტრატეგიაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა მცირე ბიზნესის მხარდაჭერამ ხელისუფლების ყველა დონეზე. ასე, მაგალითად, გერმანია უპირატესობას ანიჭებდა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასა და მხარდაჭერას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის რეგიონული პროგრამების გაფართოებას, რომელიც ითვალისწინებდა პირდაპირი დახმარების გაწევას მცირე ბიზნესის ტექნოლოგიური მიმართულებების საწარმოების შექმნისათვის. საფრანგეთში რეგიონული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო სახელმწიფო გეგმების „სახელმწიფო-რეგიონები“ („Etat-regions“) საფუძველზე, რომლის თანახმადაც ფინანსური დახმარების გაწევისას პრიორიტეტი ენიჭებოდა საწარმოო სფეროში დასაქმებულ მცირე ფირმებს. 1980-1990-იან წლებში მცირე ბიზნესის ინტერნაციონალიზაციამ და ტრანსნაციონალიზაციამ დიდი მნიშვნეოლობა შეიძინა. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპორტში, მცირე სამეწარმეო სუბიექტების ხვედრითმა წილმა შეადგინა 35-40% (აშშ-ში - 29-30%), 1990-იანი წლების მეორე ნახევარში შესამჩნევი გახდა მცირე და საშუალო კომპანიების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რამაც შესაძლებელი გახადა საკითხის დასმა მცირე საერთაშორისო ტრანსეროვნულ კორპორაციათა ფენომენზე. ასეთი კომპანიების ხვედრითმა წილმა ტრანსეროვნულ კომპანიათა მთლიან რაოდენობაში 1990-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში შეადგინა 80%, რაც 1,5 ჯერ აღემატება იაპონიაში - 23%, აშშ-ში - 43% არსებულ მცირე ტრანსნაციონალური კორპორაციების წილს.

განხილულ ეტაპების მსვლელობის განმავლობაში მნიშშვნელოვნად შეიცვალა მცირე ბიზნესის როლი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთშ 1980 წელს მოხდა მცირე ბიზნესის წვლილის შესამჩნები გადიდება ინოვაციური პროდუქციის წარმოებაში, მცირე ფირმების წილმა სადაც 200 ამდე დასაქმებული მუშაობდა, ინოვაციის სფეროში მიაღწია 32,1% ზრდას. 1964 წელთან შედარებით კი შეინიშნებოდა 14,7% ზრდა. 1980 წლიდან 45% - დან 1990წელთან შედარებით 52% მდე ზრდა დაფიქსირდა. მცირე მეწარმეების განვითარების მიზეზი ასევე მცირე ბიზნესში განხორციელებული მხარდამჭერი პროგრამები იყო სახელმწიფოს მხრიდან საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ევროპის ქვეყნებში.

მეხუთე ეტაპი 2000-2010 წლები დაკავშირებულია ევროკავშირის ქვეყნებში მცირე მეწარმეთა განვითარებასთან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. მოცემულ პერიოდში მცირე

ბიზნესმა შეადგინა ევროკავშირის ფარგლებში არსებულ საწარმოთა 99,8%-ი, ფაქტიურად იგი გახდა ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მცირე საწარმოები მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილები, შეიმჩნევა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: საფრანგეთში მცირე საწარმოთა უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია სუსტი სპეციალიზაციის საწარმოო საქმიანობის სფეროში, მაშინ როდესაც ესპანეთში, იტალიასა და დიდბრიტანეთში მცირე საწარმოების უმრავლესობა ფუნქციონირებს ისეთ დარგებში, რომლებ- შიც სპეციალიზაციის დონე მაღალია. გერმანიაში მცირე საწარმოო ორგანიზაციებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (34,7%) არც თუ ისე მნიშვნელოვანია იტალიასთან (76,4%) და ესპანეთთან (72,9%), შედარებით, სადაც ასევე ჭარბობს მცირე საწარმოთა მაღალი სპეციალიზაცია. ევროკავშირში შემავალი ყველა მცირე საწარმოების 35%-ზე მეტი ფუნქციონირებს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში, 13,3% - მშენებ- ლობაში, 10,9% - მრეწველობაში. დასაქმებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა წარმოდ- გენილია მრეწველობაში - 30,7 მლნ კაცი, ასევე მომსახურების სფეროში - 30,5 მლნ კაცი.

მე-20 საუკუნის 1970-1980-იან წლებში, შეფასებულ იქნა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, მცირე ბიზნესის ხარისხობრივი როლი, როდესაც მცირე საწარმოებმა გაუძლეს კრიზისის პირობებს და დაამტკიცეს საკუთარი უნარი ღირსეული ადგილი დაიკავონ მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეიმჩნეოდა მცირე საწარმოების საქმიანობის გამოცოცხლების ტენდენცია, ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში კი პირიქით, გამოვლინდა მათი განვითარების ერთგვარი შეფერხება. მცირე ბიზნესის საქმიანობის ზრდა და გაფართოება არ ნიშნავდა მსხვილი კომპანიების სრულ გაქრობას. პირიქით, დაიწყო მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის ახალი წონასწორობის შექმნის პროცესი. 1990-იანი წლების მსვლელობაში ეკონომიკის მცირე სექტორის განვითარებას ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შესაძლებელია ვუწოდოთ მცირე ბიზნესის ინოვაციური მიმართულების ზრდა, რომელიც კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზრებზე გასვლის პირობებშიც. მცირე ბიზნესის ფართო განვითარება მოხდა 2000-2010-იანი წლების პერიოდში, ბიზნესის მოცემული სფეროს მიმართ მიზანმიმართული პოლიტიკის განხორცი- ელებით. მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს ევროპული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. სახელმწიფოს მხრიდან კერძო საწარმოთა მხარდაჭერამ მიზანმიმართული ხასიათი მიიღო 1980-იანი .

2.2 ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

რიგი უპირატესობებთან ერთად, მცირე მეწარმეობას გააჩნია რიგი ნაკლოვანებებიც, რაც დაკავშირებულია საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობასთან და შედარებით დაბალ შემოსავლიანობასთან; დამატებითი რესურსების მოზიდვის შეზღუდულ შესაძლებლობებთან; მცირე საწარმოების ფინანსური მდგომარეობა განსაკუთრებით დაუცველია ინფლაციის პირობებში, რადგან, მსხვილი საწარმოებისაგან განსხვავებით, ისინი საკუთარი ხარჯებების ზრდას, მომხმარებლებზე ვერ გადაიტანენ. მეურნეობრიობის ნაკლებ ხელსაყრელი პირობები განაპირობებს მცირე ბიზნესის ნაკლებ მდგრადობას და კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. მცირე მეწარმეობა ობიექტურად არსებობს და ვითარდება, როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის დამოუკიდებელი სექტორი, ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურეკონომიკურ როლს, უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, არბილებს სტრუქტურულ ცვლილებათა შედეგებს, სწრაფად ადაპტირდება ბაზრის ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში. ეკონომიკის ამ სექტორის განვითარების დინამიკა განისაზღვრება სახელმწიფოს - მისი სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურების სახით.

იმისთვის რომ მცირე ბიზნესმა შესძლოს საკუთარი მიზნების მიღწევა, სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების, უფლებების დაცვის, რისკების მინიმიზაციის, მოგებისა და ინვესტიციების ეფექტური მიღების შესაძლებლობას. ხელისუფლება ფიქრობს, რომ მცირე მეწარმეობრივმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს ისეთი მიზნების რეალიზაცია, როგორიცაა კონკურენციის განვითარება, საბაზრო ინფრასტრუქტუ-რის გაფართოება, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, უმუშევრობის დონის შემცირება. სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესის ინტერესებისა და მიზნების თანხვედრისას შესაძლებელია ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. სწორედ ამით განისაზღვრება სახელმწიფოს სტრატეგია და ტაქტიკა მცირე ბიზნესთან მიმართებაში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახდენენ გარკვეულ ზეგავლენას მცირე ბიზნესის სფეროზე, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება მიზნების შედეგიანობა, ასეთი ურთიერთქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსური

სოციალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური სისტემის ფორმირება და რეალიზაცია, რომელსაც შესწევს ძალა მცირე მეწარმეობის სფერომ შეძლოს ეფექტური განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მცირე საწარმოთა განვითარების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკაში აისახება სახელმწიფოს ურთიერთობა მცირე ბიზნესთან. სახელმწიფო პოლიტიკაში მცირე ბიზნესის მიმართ მოიაზრება მიზნის, ამოცანებისა და პრინციპების დასახვას, სხვადასხვა მექანიზმებისა და სპეციალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის, ამ სფეროს რეგულირებასა და მხარდაჭერაზე მიმართული ღონისძიებების რეალიზება. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაცია ხორციელდება **მცირე მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების** მეშვეობით.

სახელმწიფო რეგულირების სისტემის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს მეწარმეობის **ფინანსური უზრუნველყოფა.** მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხორციელდება საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო, სადაზღვევო, საამორტიზაციო პო- ლიტიკის და სხვა ღონისძიებების გატარებით.

სურათზე წარმოდგენილია **მცირე მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ფუძემდებლური ელემენტები.**

ყველა ამ სახელმწიფოში საგადასახადო პოლიტიკას მცირე ბიზნესის სფეროში აქვს შემამსუბუქებელი და მასტიმულირებელ ხასიათი. მაგალითად, გერმანიაში 1985 წელს მიღებულ იქნა კანონი „გადასახადების შემცირების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო ტვირთის შემცირებას მცირე ბიზნესისათვის. 1986-1990 წლების საგადასახადო რეფორმის მსვლელობაში გაიზარდა განსაკუთრებული საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები (10-დან 20%-მდე) და ამორტიზაციის ვადები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლის შედეგად შემოღებულ იქნა გადასახადის გაანგარიშების ახალი ხაზოვანი პროგრესული მეთოდი. 1990 წელს საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი შემცირდა 53%-მდე, ხოლო მინიმალური - 19%-მდე. 1990 წლის 1 იანვრიდან მცირე საწარმოები განთავისუფლდნენ ბრუნვის გადასახადისაგან, რომელიც არ აღემატებოდა 25 ათას მარკას როცა ადრე ეს ზღვარი შეადგენდა 20 ათას მარკას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდ ბრიტანეთში მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომები მცირე საწარმოთა პოზიციების გასამყარებლად. შენობებსა და მოწყობილობებში პირველი 50 ათასი ფუნტი სტერლინგის ინვესტიციდან გადასახადისაგან გათავისუფლებასთან ერთად, სახელმწიფომ გაზარდა მცირე საწარმოთა შემოსავლის ნორმატივი, რომელიც არ იბეგრებოდა კორპორაციული გადასახადით (განაკვეთი შეადგენდა 35%-ს) 200-დან 250ათას ფუნტ სტერლინგამდე, შემოიღო მცირე საწარმოს ქონების მემკვიდრეობით გადაცემისას გადა- სახადისაგან გათავისუფლება

გასული საუკუნის 90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში ინგლისის ბანკის მიერ კონტროლირებადმა კორპორაციამ - „სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების დაფინანსება“ - 3,9 ათას მცირე საწარმოზე (მცირე ფირმათა მთლიანი რაოდენობის 20%) გასცა კრედიტები, მათ საქმიანობაში განახორციელა 500მლნ ფუნტ სტერლინგზე მეტი ინვესტირება. პარალელურად, ქვეყანაში მოქმედებს კრედიტების გარანტირების სახელმწიფო პროგრამა, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების 70-80% დანიშნულია ბანკების მიერ მცირე ბიზნესისათვის გაცემულ კრედიტებზე გარანტიისათვის. ამასთან, კონკრეტულ საბანკო გარანტიებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა 50 მლნ ფუნტი სტერლინგი. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში პრაქტიკულად ყველა ბანკი იყენებს მცირე ბიზნესის დაკრედიტების საკუთარ სისტემას. მაგალითად,Barklays Bank-მა შეიმუშავა ბიზნესის შექმნისა და გაფართოვების ორი პროგრამა. პირველი პროგრამის შესაბამისად, მცირე საწარმოთათვის კრედიტის მოცულობა მერყეობს 5-დან 100 ათას ფუნტ

სტერლინგამდე და გაიცემა 5-წლიანი ვადით, ხოლო წლიური (15-17%) პროცენტი ამოიღება არა გა- მოყოფილი კრედიტის თანხიდან, არამედ ფირმის წლიური ბრუნვიდან. მეორე პროგრამის თანახმად, მოწყობილობების, საწარმოს შენობა-ნაგებობების შესაძენად და ა.შ. შესაძენად გაცემული კრედიტის სიდიდემ შესაძლებელია მიაღწიოს 500ათას ფუნტ სტერლინგს, 2-დან 20 წლამდე დაფარვის ვადით. საკრედიტო პროცენტი დგინდება ინგლისის ბანკის მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, ან განისაზღვრება თვით ბანკის მიერ.

1948 წელს გერმანიაში შეიქმნა საკრედიტო დაწესებულება რეაბილიტაციისათვის, რომლის ძირითად ფუნქციად იქცა ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა, საკრედიტო დაწესებულება დაკავებულია მცირე და საშუალო საწარმოთა დაკრედიტებითა და რეფინანსირებით. იგი ასევე აფინანსებს საზღვარგარეთ (უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში) არსებულ მცირე ბიზნესის საინვესტიციო პროექტებს.

ევროკავშირის იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად გამოყონ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები მცირე ბიზნესის გასანვითარებლად არსებობს ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის მაგალითები, მაგალითად, პორტუგალიას გაეწია პირდაპირი დახმარება ევროკავშირის სპეციალური სტრუქტურების [კერძოდ, საწარმოო ინვესტიციის ფონდი (SIN EDIP), მცირე საინვესტიციო პროექტებისა (PPI) და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების წახალისების სისტემა, წახალისების რეგიონული სისტემა (SIBR)] მეშვეობით. სახსრების მიღებამ ხელი შეუწყო ფინანსური დეფიციტისა და ტექნოლოგიური გარღვევის დაძლევას პორტუგალიის მცირე საწარმოებში. მცირე მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მცირე ბიზნესის დაკრედიტება და დაფინანსება.

თავი III. ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

3.1 ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

მოწინავე სახელმწფოებში მცირე, მოკრო და საშუალო ბიზნესი სწრაფი ტემპით ვითარდება, რაც გამოწვეულია ხელისუფლების მცირე საწარმოებზე სერიოზული დახმარების გაწევით.

ამ ჯგუფის ქვეყნებში შენარჩუნებულია ე.წ. ხელოსნის სტატუსი. მხირე და საშუალო საწარმოების ევროპული მიმოხილვის თანახმად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არასასოფლო-სამეურნეო დარგის კერძო სექტორის 16,4 მლნ საწარმოდან 99.9% მცირე და საშუალო საწარმოებს წარმოადგენენ. მათი წილი სამრეწველო გაყიდვების მთლიანი მოცულობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს, მომსახურება-67%, ვაჭრობა და მშენებლობა-90%. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორი ქმნის სამუშაო ადგილების 70%-ს. მიკრო საწარმოების რაოდენობა აღემატება 14,5 მლნ-ს. მცირე საწარმოს რიცხვი შეადგენს 1 მლნ-ზე მეტს, საშუალო საწარმოების-70 ათასს, მსხვილი საწარმოების - 12 ათასს.

ამ ქვეყნებში მცირე საწარმოთა ძირითადი მასა იქმნება იმ კომპანიებით, რომლებშიც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას. მცირე საწარმოები ფორმირდებიან, როგორც სამომხმარებლო ასევე სამრეწველო და გადამამუშავებელ დარგებში.

ევროკავშირის ქვეყნების მიკრო ბიზნესში იგულისხმება ის ბიზნესი რომელშიც დასაქმებულია 10 ზე ნაკლები ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 2 მილიონ ევროს, რაც შეეხება მცირე ბიზნესს მასში დასაქმებულთა რიცხვი 10-49 ადამიანზე გადის, ხოლო რაც შეეხება ბრუნვას 10მლნ. ევროს არ აღემატება.

ერთ საშუალო-სტატისტიკურ საწარმოზე მოდის 6 დასაქმებული, საშუალოდ ერთ მცირე და საშუალო საწარმოზე - 4-5 კაცი. სახელმწიფო საწარმოებზე არასასოფლო-სამეურნეო სექტორის სამუშაო ადგილების რაოდენობა 12-25% შეადგენს. ევროპაში მოქმედი მცირე საწარმოები მთლიანად ორიენტირებულნი არიან მუდმივ მომხმარებლებს მიაწოდონ ტრადიციული პროდუქცია და დროთა განმავლობაშ გამოუშვან უფრო დახვეწილი ნაწარმი გაზრდილი ხარისხით და დახვეწილი დიზაინით. რადგანაც აქ მცირე ფირმათა

უმრავლესობა წარმოადგენს საოჯახო საწარმოებს, ხარისხის უმაღლესი სტანდარტები ფაქტობრივად დაფუძნებულია თაობების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციების გაგრძელებაზე. საოჯახო ბიზნესი დასაბამიდან უყრის საფუძველს იმ ტრადიციებს, რომელზეც სამომავლოდ ქვეყანაში არსებული სოციალური პოლიტიკური მდგომარეობა ბევრად იქნება დამოკიდებული.

ყველა ბიზნესის მსგავსად საოჯახო ბიზნესსაც გაჩნია რიგი სირთულეები, ის წარმატებით ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის ინტერესები ემთხვევა ბიზნესის ინტერესებს. კვლევების თანახმად გერმანიაში საოჯახო საწარმოს მფლობელის მიზანია ბიზნესის ინტერესების უპირატესობა, რასაც ვერ ვიტყვით დიდ ბრიტანეთზე, დიდ ბრიტანეთში საოჯახო ინტერესები აჭარბებს საქმიანობის ინტერესებს, რის შედეგადაც ფირმა განიცდის კრახს. ფირმათა გაკოტრების ბევრი მიზეზი არსებობს. ფირმის წარმატების უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ფირმებმა უნდა იზრუნონ წარმოების უნიკალურობაზე და ახალი თაობა უნდა აღზარდონ ამავე იდეოლოგიით. ამ მეთოდის უგულვებელყოფა, როდესაც საწარმო არა რის ორიენტირებული ნაწარმის ხარისხზე არამედ ორიენტირებულია წარმოების სიდიდეზე და ამით ცდილობს მიიღოს უფრო მეტი შემოსავალი თუმცა შედეგად ვიღებთ მოთხოვნის შემცირდებას და საბოლოო ჯამში ფირმაც მიდის დაღმავლობისკენ. მოქმედებს ხარისხი ქმნის მოთხოვნას, საწარმოს ხელმძღვანელის მსგავსი ინტერესების უპირატესობას მიჰყავს ფირმა გაკოტრენისკენ.

კონტინენტარულ ევროპაში მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული მცირე რაოდენობის სუვენირებს, ფრანგულ ტანსაცმელს, შვეიცარულ საათებს, და ღვინოს მსოფლიოში ანალოგები არ ჰყავთ. მასობრივი წამოება კი კონკურენტულ ბრძოლაში ჩამორჩება მთელი რიგი მაჩვენებლებით აზიურ, ამერიკულ, ანგლო-საქსონურ წარმოებას.

ბიზნესის კონტინენტალური მოდელის თავისებურებაა დაქირავებული მუშახელის მუშაობის პირობები რომელიც არ ჩამოუვარდება მსხვილი კომპანიებში დასაქმებულთა პირობებს. მაგალითად აშშ-ში დასაქმებულ 100 კაცამდე სიდიდის ფირმაში მომუშავე მუშახელი იღებს მსხვილ კომპანიებში მომუშავე თანამშრომლების შრომის ანაზღაურების 57%-ს, იაპონიაში 77%-ს, გერმანიაში - 90%-ს. ამ ფაქტის მიზეზია სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესში მიმდინარე პროცესების კონტროლი და მოთხოვნა ისეთ მაღალი კვალიფიკაციის კადრებზე, რომელთაც შეუძლიათ რთული სამუშაობი ნაყოფიერად შეასრულონ და იზრუნონ წარმოების პროდუქციის ხარისხზე. შესაბამისად ხარისხზე ორიენტულობა და პროდუქციის უნიკალურობა წარმოადგენს მცირე ბიზნესის კონტინენტალურ მოდელს.

საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, ნიდერლანდები და ევროპის სხვა ქვეყნები დომინირებენ მაღალი მოდის, ფუფუნების საგნების, ტურიზმის, უნიკალური სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტების წარმოების განვითარებით. მასობრივი მოხმარების საგნებზე მოსახლეობის დიდ მოთხოვნას მივყავართ ფიფუნების საგნებსა და უნიკალურ პროდუქციაზე მოთხოვნის არაკონტროლირებად ზრდასთან. რათქმაუნდა ეს მხოლოდ ევროპის ქვეყნებისთვის არარის დამახასიათებელი, მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მოთხოვნილებები ძირითადად გაჯერებულია. ყველგან ფართოვდება წარმოების შესაძლებლობები და განათლების დონე. აქედან გამომდინარეობს მომხმარებელთა ყურადღების გადატანა მასობრივიდან ინდივიდუალიზებულ ნაკეთობებზე რომლის მიწოდების წყაროც მცირე საწარმოები წარმოადგენენ. კორპორაციები რომლებიც აწარმოებენ მასიურ პროდუქციას, ხედავენ რა ბაზრის ახალ მოთხოვნებს, იძულებულები ხდებიან განახორციელონ ორგანიზაციის რეორგანიზაცია და უპირატესობა მიანიჭონ წარმოების ინდივიდუალიზმს.

უნდა არსებობდეს შესაბამისობა გარემომცველ საზოგადოებასა და ბიზნესის ორგანიზაციას შორია. თუ ორგანიზაცია ეწევა მასიურ ინდუსტრიულ წარმოებას შედეგად ვრებულობთ მომხმარებლების მოთხოვნის ერთგვაროვნებას ანუ მოტხოვნა არ იზრდება არის მონოტონური, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს შეუძლია გამოუშვას მაღალი ხარისხის სტანდარტული პროდუქცია და ამავდროულად მრავალფეროვანი, არაორდინალური შესაბამისად მომხმარებელტა ინტერესებიც იზრდება. დღეს ყველას მოთხოვნები განსხვავებულია ამიტომ საჭიროა პროდუქციის მრავალფეროვნება და ინდუალიზმი და მომსახურების გაუმჯობესება მითუმეტეს, როდესაც დღევანდელი ტექნოლოგია იძლევა ფართო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას და დანახარჯების შემცირების საშუალებას. ის კომპანიები, რომლებიც წარმატების მიღწევას ძველი მეთოდებით ცდილობენ და არ ზრუნავენ განვითარებისთვის ასეთი კომპანიები განწირულნი არიან წარუმატებლობისთვის.

ხარისხი ტრადიციულად იტვალისწინება გარკვეულ სტანდარტებზე ორიენტაციას, იდეალზე, რაღაც შეუცვლელზე. მაგრამ რეალურად ხარისხი განისაზრვრება მყიდველთა მოთხოვნით და მყიდველთა რწმენა. მაგალითად ის, რომ ბურგუნდიული ღვინო ყველაზე ხარისხიანია, უპირატესობას უქმნის ფრანგული ღვინის მწარმოებლებს, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება ბევრადაც ჩამოუვარდეს კალიფორნიულს. ევროპული პროდუქტების ხარისხისადმი მომხმარებლის ნდობით ინარჩუნებს მცირე ბიზნესი თავის ნიშას. ეს მიდგომა ხელს უშლის ინოვაციების განხორციელებას და წარმოების

გაფართოებას, და ასევე გზას უკეტავს ახალ ფირმებს, რომელთაც არ გააჩნიათ მკაცრი სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოების გამოცდილება. ამიტომ დიდი ბრიტანეთი წააწყდა მცირე ბიზნესის განვითარების შენელებულ ტემპს და დიდი სირთულეების გადალახვის შემდეგ მოვიდა შესაბამისობაში ახალ ბრიტანულ სტანდარტთან, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და მართვის სპეციალურ სისტემას.

თანამედროვე ცხოვრებაში მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია, როგორც საქონლისა და მომსახურების ტექნოლოგიური სრულყოფილება ასევე სიახლეები- ახლის წარმოება, რომელიც პირველ რიგში წარმოადგენს თანამედროვე კულტურის ეკონომიკურ მოთხოვნილებას.

მთლიანობაში, ის რაც დამახასიათებელია კულტურისათვის, მეტად დამახასიატებელია ბიზნესისთვის. მცირე ბიზნესს გააჩნია დიდი უპირატესობა მსხვილ ფირმებთან ფასების კონკურენციას ის ვერ შეძლებს მაგრამ მას შესწევს ისეთი მომსახურებისა და პროდუქციის წარმოების უნარი, რომლებიც ძალან გასხვავდება კონკურენტების პროდუქციისა და მომსახურებისგან.

ევროპასა და აშშ-ს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები გასული საუკუნის ბოლო 25 წლის განმავლობაში ევროპაში შეადგინა 3,3% ხოლო აშშ-ში 3,1%. უმუშევრობის დონემ ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინი 3% ხოლო აშშ-ში 5%. 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულიდან აშშ-ში უმუშევრობის დონე 5%-ზე ქვემოთ დაეცა, მშპ-ს ზრდის ტემპმა 4%-ს გადააჭარბა. ევროპაში მშპ-ს ზრდამ შეადგინა 1,5%, უმუშევრობის დონემ 10%-ს გადააჭარბა. სტატისტიკის მიხედვით აშშ-ში ფირმების რაოდენობა გაორმაგდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და 2მლნ-დან 4,5 მლნ-მდე გაიზარდა ხოლო 90-იანი წლებიდან ზრდა უფრო გამოიკვეთა კორპორაციატა რაოდენობა 5,3მლნ-დან 6,9 მლნ-მდე გაიზარდა ხოლო მეწარმეთა რიცხვი 14,4 მლნ-დან 16,8 მლნ. გახდა. საშუალოდ თუ შევხედავთ წლიურ მონაცემებს 3,1% ით გაიზარდა თუმცა ევროპის ქვეყნებში იმავე პერიოდში ახალ კომპანიათა რიცხვი ხან მცირდებოდა ხან კიდევ უცვლელი რჩებოდა.

განვიხილოთ დასავლეთ ევროპის 5 ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს ხელშეწყობით მცირე ბიზნესის სწრაფად ვითარდება.

2018 წლიდან **საბერძნეთში** რამდენიმე წლიანი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ვითარება თანდათან უფრო გაუმჯობესდა და გამოიკვეთა ბიზნესის განვითარეების დადებითი ტენდენციები შესაბამისად მოქალაქეთა ფინანსური მდგომარეობაც

გაუმჯობესდა და ხელი შეეწყო მცირე ბიზნესის განვითარებას. საბერძნეთში დამატებითი ღირებულების გადასახადის 35,9% მიკრობიზნესზე მოდის ხოლო მცირე ბიზნესზე - 20,1%. რაც შეეხება დასაქმებულთა რიცხვს საბერძნეთში მიკრობიზნესში დასაქმებულთა რიცხვი მოსაცლეობის 58,6% შეადგენს, ხოლო მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი კი 17%-ია.

1993 წელს **სლოვაკეთი** გამოეყო ჩეხეთს და 2004 წელს შევიდა ევროკავშირში, რის შემდეგაც გატარებული რეფორმების შედეგად სლოვაკეთის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა. ქვეყნის მთავრობა ცდილობდა მაქსიმალურად ხელი შეეწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და შრომის ბაზრის ლიბერალიზაციისთვის, სწორედ ამან განაპირობა ბიზნესის სწრაფი განვითარება ქვეყნის მაშტაბით. 2000 წლის შემდეგ, ეკონომიკურმა ზრდამ ქვეყანაში მილიონს გადააჭარბა, რაშიც მცირე ბიზნესს დიდი წვლილი მიუძღვოდა. დამატებითი ღირებულების მიხედვით სლოვაკეთის ეკონომიკაში მიკრო ბიზნესის წილი 26,5%-ი შეადგინა, ხოლო 17,3% -მცირე ბიზნესმა. რაც შეეხება დასაქმებულთა რიცხვს, სლოვაკეთის მკვიდრთა 38,6%-ი დასაქმებულია მიკრო ბიზნესში, ხოლო 15,4% მცირე ბიზნესში.

რაც შეეხება **იტალიას,** იგი ევროპის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ინდუსტიულ-აგრარული განხრით, სადაც სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება მრეწველობის დიდი ნაწილი. მეოცე საუკინის ბოლოს ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გახორციელდა, რომლის ძირითად მიზანს კერძო სექტორების გაძლიერება წარმოადგენდა. იტალიის ეკონომიკაში წამყვანი პოზიცია უჭირავს მრეწველობას, აგრობიზნესსა და მომსახურების სფეროს. დასაქმების მიხედვით მიკრობიზნესში იტალიას შთამბეჭდავი მიღწევები აქვს, მოსახლეობის 46,4% მიკრობიზნესშია ჩართული ხოლო ბიზნესის წილი ეკონომიკაში დამატებითი ღირებულებიის მიხედვით 29,3%-ს შეადგენს.

ეკონომიკის მაღალი დონით გამოირჩევა **ესპანეთი**, მისი ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებს შორის წამყვანი ადგილი მომსახურების სფეროს უკავია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმისა და საბანკო-საფინანსო სფეროს. ტურისტების რაოდენობის მხრივ ესპანეთი მსოფლიო მოწინავე ქვეყნებს შორისაა. დიდად განვითარებულია მიკრო და მცირე ბიზნესიც.

დამატებული ღირებულების მიხედვით ესპანეთის ეკონომიკის 26,2% უკავია მიკრო ბიზნესს ხოლო 19,4%- მცირე ბიზნესზე მოდის. ესპანელების 40,8% მიკრო ბიზნესშია დასაქმებული, ხოლო რაც შეეხება მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვს მათი რპოცენტული მაჩვენებელი 19,6%-ია.

განხილული ქვეყნებიდან საპატიო ადგილი **გერმანიას** უკავია, ის ევროკავშირის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენს, მან მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან სულ რაღაც 10 წელიწადზე ნაკლებ დროში აღიდგინა ეკონომიკა და მთელს მსოფლიოში გასაოცარი შედეგი დადო. თანამედროვე გერმანიის ეკონომიკაში დიდ როლს მოკრო და მცირე ბიზნესი ასრულებს. დაამტებითი ღირებულების მიხედვით მიკრობიზნესის წილი გერმანიაში 15,1%-ია ხოლო 18,1% მ,ცირე ბიზნესზე მოდის. გერმანიის მოქალაქეთა 19% დასაქმებულია მიკრობიზნესში ხოლო 23,1% მცირე ბიზნესში.

გერმანიაში მცირე და საოჯახო ბიზნესი კონკრეტული საქონლისა და მომსახურების ერთპიროვნულ წარმოებლად გვევლინება რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მაღ შეუძლიათ მოიპოვონ ავტორიტეტი მსოფლიო ბაზარზე, მაგალითად, არის ერთი გერმანული საოჯახო ფირმა რომელიც აწარმოებს საქსოვი მანქანებისათვის საჭირო ნემსებს და ამ ბაზარზე ის დგას მყარად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გერმანული საოჯახო ფირმები მკაცრად იცავენ ტრადიციებს და ეს ტრადიციები გადაეცემა თაობიდან თაობას.

გაერთიანებულ სამეფოში ეკონომიკა დაფუძნებულია ლიბერალიზმის, საბაზრო ეკონომიკას და დაბალი გადასახადების პრინციპებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 1%-ს შეადგენს ის ვაჭრობის მხრივ მეოთხე ადგილზეა, მშპ-ს მიხედვით ის მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა, ხოლო ევროპაში მესამე ადგილს იკავებს გერმანიისა და საფრანგეთის შემდეგ. გაერთიანებული სამეფოს ეკონომკა ყველაზე ძლიერად მიიჩნება ევროპაში ინფლაციის, ფასების დონისა და უმუშევრობის დონის მიხედვით. 1980-იანი წლებიდან მოხდა ბევრი საწარმოს პრივატიზაცია (საკუთრების კერძო მფლობელობაში ტრანსფორმაციის პროცესი) ტეტჩერიზმის (სისტემა რომლისთვისაც დამახასიატებელია თავისუფალი ბაზარი ეკონომიკაში, მონეტარული ეკონომიკური

პოლიტიკა, დაბალი პირდაპირი დაბეგვრა მაღალ ირიბ დაბეგვრასთან პარალელურად, პრივატიზაციის პროცესი, პროფკავშირების მიმართ სახელმწიფო რეგულირება, ნაციონალიზმი) ფარგლებში. ინფლაციისა და უმუშევრობის დაბალი დონის მაჩვენებელი გახლდათ სახელმწიფოს მოქნილი ეკონომიკური რეგულირება, რამაც საშუალება მისცა გაერთიანებულ სამეფოს გამკლავებოდა ბოლო წლების რეცისიებს. მშპ-ს ზრდა არ შეჩერებულა ბოლო 4 წელიწადია რაც თავისებური რეკორდის მაჩვენებელია. საქონლისა და კაპიტალის ბაზრების ჩამოყალიბება წარმოადგენს აუციელებელ ატრიბუტს ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკისთვის, ტექნიკური პროგრესი და მზარდი კონკურენცია ქმნიან ბაზარზე ახალ გამოწვევებს და ბიზნესიც სულ აწყდება ახალ პრობლემებს.

განვიხილოთ გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის სტრუქტურა : **მომსახურების სფერო.** მომსახურების სფერო ბრიტანეთის ეკონომიკის წამყვან სფეროს წარმოადგენს. მთლიანი შიდა პროდუქტის 74% სწორედ მომსახურების სფეროზე მოდის, მომსახურების სექტორის წამყვანი პოზიცია უჭირავს ფინანსურ სექტორს მისი წილი მშპ-ს 27%-ს შეადგენს, მსოფლიოს უდიდეს ფინანსურ ცენტრად ლონდონი სახელდება ხოლო ედინბურგი მეხუთე უდიდესი ფინანსური ცენტრია ევროპაში.

გაერთიანებულ სამეფოს ყოველწლიურად 27 მლნ. ტურისტი სტუმრობს, ტურისტების სიმრავლით ის მეექვსე ადგილზეა მსოფლიოში. ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რიცხვი, 2,1მილიონია, ხოლო რაც შეეხება შემოსავალს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წელიწადში 76 მილიარდ გირვანქა სტერლინს შეადგენს. პირველად ქალაქ მებურნიაში, 1840 წელს დაარსდა პირველი ტურისტული სააგენტო მღვდელი კუკის ხელმძღვანელობით, სააგენტომ დაარსებიდან ერთი წლის განმავლობაში 500-მდე ადამიანისთვის მოაწყო ტურები ლონდონში, ხოლო 1844-1846 წლებში სააგენტოს ფილიალები გაიხსნა ინგლისსა და შოტლანდიაში სხვადასხვა ადგილებში.

შემოქმედებითი სფერომ, როგორებიცაა რეკლამა, ტელევიზია, კულტურის. დიზაინი 1990-იანი წლების დასაწყისსიდან დღემდე განიცდის აღმავლობას. ეს დარგი 1997 წლიდან 6%-ით გაიზარდა ამას ადასტურებს მედიისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებიც.

მრეწველობა. ბრიტანეთის მეორე და მძლავრ ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს მრეწველობა, მშპ-ს 18.6%-ი წილით. მრეწველობას წამყვანი როლი უკავია ექსპორტში, ის მთლიანი ექსპორტის 83% ქმნის. მრეწველების უმსხვილესი დარგია ავტოინდუსტრია: ბრიტანეთში წარმოდგენილია ისეთი ცნობილი ბრენდები როგორიცაა BMW, General Motors, Toyota, Ford-ი, Honda, Nissan-ი. მანქანათმშენებლობაში აქტუალურია მცირე სპეციალიზებული საწარმოები და ავიაციის საწარმოები, რომლებიც მსოფლიოში წამყვანია სამოწალაწო ავიაციის დარგში. ასევე მნიშვნელოვანი დარგებია აუდიო და ოპტიკური ხელსაწყოების წარმოება, ელექტრონიკა, ქიმიური მრეწველობა, სამთო მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და მნშენებლობა.

სოფლის მეურნეობა. გაერთიანებული სამეფოს სოფლის მეურნეობა ხასიათდება მაღალი მექანიზაციით, სუბსიდირების მარალი დონით და პროდუქტიულობით, წარმოებული პროდუქციის მიხედვით სოფლის მეურნებაოს მეექვსე ადგილი უჭირავს ევროპის ქვეყნებში, მასზე მოდის მშპ-ის 1% თუმცა ეს დარგი აკმაყოფილებს ქვეყნის შიდა მოთხოვნების 66%-ს. გაერთიანებული სამეფოს სასოფლო სამეორნეო მიწები 18,5 მლნ ჰექტარს შეადგენს რაზეც სახელმწიფოს ტერიტორიის 77%-ს წარმოადგენს.

ძირითად წამყვან დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა რომელიც გამოიხატება მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობასა და მეფრინველეობაში. მეცხოველეობა ძირითადად ტერიტორიულად მდინარის ხეობებში გვხვდება, ინგლისი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია ცხვრის მატყლის წარმოებაში.

რაც შეეხება მემცენარეობას აქ გამოხატულია ძირითადად ხორბლის, შაქრის ჭარხალის, კარტოფილის და ბოსტნეულის კულტურების მოყვანა. მიწათმოქმედება ძირითადად ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში რაც განირობებულია ამ რეგიორებში მიწის ბარაქიანობით.

მეთევზეობაში მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ გაერთიანებული სამეფო, თევზჭერა განვითარებულია ზღვისპირა ქალაქებში.

რეგიონალური დაყოფის მიხედვით ეკონომიკის მწარმოებლობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, გამოიყოთ 12 რეგიონი მშპ-ის მახასიათებლებით ერთ სულ მოსახლეზე.

რანგი	რეგიონი	მ.შ.პ. ერთ სულ მოსახლეძე
1	ლონდონი	27.445 EUR
2	სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისი	18.564 EUR
3	შოტლანდია	16.284 EUR
4	აღმოსავლეთ ინგლისი	15.976 EUR
5	სამხრეთ-დასავლეთ ინგლისი	15.789 EUR
6	დასავლეთ მიდლანდი	15.152 EUR
7	აღმოსავლეთ მიდლანდი	14.994 EUR
8	ჩრდილო - დასავლეთ ინგლისი	14.953 EUR
9	იონკშირი და ჰამბერი	14.953 EUR
10	ჩრდილოეთ ირლანდია	13.430 EUR
11	ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისი	13.184 EUR
12	უელსი	13.084 EUR

მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი და ქიმიკატები ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა გაერთიანებულ სამეფოში. ექსპორტირებული საწარმოო პროდუქციის რაოდენობა, ექსპორტირებულ ნელდეულის რაოდენობას 6-ჯერ აღემატება. გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე დიდი ექსპორტიორია ამერიკის შეერთებული შტატები.

ნავთობის მოპოვებამ ჩრდილოეთ ზღვაში, 70-იანი წლებიდან შეამცირა ნავთოპროდუქტების იმპორტი და საგარეო ვაჭრობაში მოიტანა დიდი მოგება.

საბანკო, სადაზღვევო, საბროკერო, კომპიუტერერული პროგრამული მომსახურების და საკონსულტაციო სფეროში ბრიტანეთი ახორციელებს მსოფლიო ექსპორტის 10%-ს. ფინანსური მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე დომინანტია გაერტანებული სამეფო. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებით ლიდერობს ლონდონი, სასაქონლო და საფონდო ბირჟები უმნიშვნელოვანესია გაერთიანებულ სამეფოში როგორიცა ნავტობის საერთაშორისო ბირჟა, ლონდონის მეტალების ბირჟა და ლონდონის საფირმო ბირჟა.

3.2 მეწარმეობის განვითერების გზები და პერსპექტივები საქართველოში

მცირე ბიზნესს თავისი ისტორიული წარსული და განვითარების ტენდეციები აქვს. მცირე ბიზნესი ჩაისახა და განვითარდა აშშ-ში, რაც ევროპიდან ემიგრაციის დიდ ტალღასთან იყო დაკავშირებული. ტერმინი „მცირე ბიზნესი“ პირველად აშშ-ში გამოჩნდა 1953 წელს მიღებულ კანონში „მცირე ბიზნესის შესახებ“. მცირე ბიზნესს, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორს მაინც:

1. დამოუკიდებელი მართვა;
2. საკუთარი კაპიტალი;
3. მოქმედების ლოკალური რაიონი;
4. წარმოების შედარებით მცირე სიდიდე;
5. თანამშრომელთა მცირე რაოდენობა;
6. საბრუნავი კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა.

მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ელემენტები; დადებით მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს: ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია; მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატიულობა; საქმიანობის განხორციელების შედარებით დაბალი ხარჯები და სხვ. უარყოფითი მხარეებია: რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს; მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება; თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები. ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა.

მცირე ფირმების წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრეების მენეჯერული გამოუცდელობით, ანუ პროფესიული არაკომპეტენტურობით. აშშ-ში რეგულარულად მიმდინარე გამოკითხვების შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ ბიზნესმენების არაკომპეტენტურობას, დაუბალანსებელ გამოცდილებას, როცა კომერციაში, ფინანსებში, მოწოდებებში წარმატებები აქვს, მაგრამ მართვაში გამოუცდელია; საქმიანი კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში უუნაროა და ა.შ. მცირე ფირმების წარუმატებლობის სხვა მიზეზებია: ბიზნესის ხელმიშვებულობა, უყურადღებობა, აგრეთვე კატასტროფები, ხანძარი, ქურდობა, თაღლითობა. მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და

განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე ფირმების მფლობელი ქალები უფრო წარმატებული არიან ბიზნესში, ვიდრე მამაკაცები. კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ წარმატებებს აღწევენ ის მცირე ფირმები, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, არ გადადიან გონივრული აზრის საზღვრებს.

ნებისმიერი პროფილის ფირმას უწევს მუშაობა განსაზღვრულ გარემოში. ბიზნესის გარემოში იგულისხმება სხვადასხვა ხასიათის პირობათა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარების მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მაშტაბებზე. ფირმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, საჭიროა შესაბამისი პირობებისარსებობა.

ბიზნესის განვითარების გარემო პირობებიდან გამოიყოფა:

- ბიზნესის თავისუფლება და მისი გრძელვადიანი მოტივაცია;
- ეკონომიკური პოტენციალი და სტიმულები;
- სამართლებრივიგარანტიები;
- პოლიტიკური სტაბილიზაცია და სხვა;

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს ყოფენბ შიგა და გარე ფაქტორად. შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება ისთი ფაქტორები, რომლებიც ექვემდებარებიან ფირმის მართვა-გამგეობას (მენეჯმენტს).

ამ ფაქტორებში მოიაზრება:

- საქმიანობის საერთო და კონკრეტული მიზნები;
- სამუშაო გეგმები და პროგრამები (სტრატეგია);
- ბიზნესის ორგანიზაცია, მართვის ფორმები დ მეთოდები;
- მარკეტინგის (ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის) სამსახური;
- შრომის კულტურა;
- კადრების უზრუნველყოფა;
- საქმიანობის შესრულებისადმი კონტროლი და სხვა.

გარე ფაქტორები არ ემორჩილებიან ე.წ. შიგა წესრიგს და მათ მიეკუთვნება:

- მომწოდებლები
- მომხმარებლები
- კონკურენტები

- ეკონომიკური სიტუაცია
- იურიდიული კანონები
- დემოგრაფიული მდგომარეობა
- იურიდიული კანონები
- პოლიტიკური ვითაება და სხვა;

ბიზნესის განვითარებას განაპირობებს ერთმანეთზე გადაჯაჭვული შიგა და გარე ფაქტორები. საქართველოს ბიზნესი კორუფციის მხრივ თავისუფალი და სუფთაა, მოკლედ რომ ვთქვათ აქ ბიზნესი არის „თეთრი". ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭირო მომსახურება არის სუფთა და გამჭვირვალე. საქართველოში ბიზნესს საქმიანობის დაწყება მარტივია იქედან გამომდინარე რომ რეგისტაციის პროცესი ნებისმიერი პირისთვის ხორციელდება ყოველგვარი ბარიერების გადალახვის გარეშე და ამავდროულად გადასახადები ძალიან დაბალია თუმცა ბაზარი გაცილებით მცირეა ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც შეეხება ფინანსურ ხელმისაწვდომობას ამ მხრივ ვითარება საკმაოდ რთულადაა საბანკო განაკვეთების პროცენტული მაჩვენებლები მაღალი ხოლო კრედიტის გაცემის მაჩვენებელი დაბალი. ანუ ქვეყანაში შეზღუდულია ბიზნეს ობიექტების ხელშეწყობა მატერიალური კუთხით, თუ არსებობს გარკვეული კაპიტალი ბიზნესის დაწყებისა მაშინ შესაძლებელია ბიზნესის ცხოვრების ხანგრძლივობა უფრო დიდი იყოს ვიდრე ბიზნეს სესხი დაწყებული ბიზნესისა. საბოლოო ჯამში დაგროვილ კრედიტებზე გადასახადები იმდენად ბევრზე გადის რომ ბიზნეს სუბიექტები უბრალოდ იხურებიან ან კოტრდებიან.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზანია, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიული მიმართულებების და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა არსებული მდგომარეობის და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (საბაზისო - 2013 წელი): 1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით. მცირე და საშუალო მეწარმეობის

განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანები: ¬ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ¬ სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა; ¬ მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის პრიორიტეტული ღონისძიებების შესაბამისი ქმედებები ასახულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში 2016-2017 წლებისთვის. სამოქმედო გეგმაში ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი უწყებები, ღონისძიებების განხორციელების ვადები და დაფინანსების წყაროები. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპს.

ბიზნესის სახეობები საჭიროებს შესაბამისი საწარმოო რესურსების გამოყენებას, იქნება ეს ბუნებრივი, შრომითი თუ საწარმოების საშუალებები. რესურსები იხარჯება ნებისმიერი ბზნესის განხორციელებას, რომლიც საბოლოო ჯამში წარმოადგენს ფულის მიღების გზას.

საქონელი და მომსახურება, რომლებიც წარმოადგენენ ბიზნესის პროდუქტს, მოიცავენ ნივთების, საგნების, საქმიანობის ფართო სპექტრს, რომლებსაც მოიხმარენ ადამიანები პირადი გამოყენებისთვის, ფირმები დასახელწიფოები. მისაწოდებელ პროდუქციაში მოიაზრება ყველაფერი, რაზეც მომხმარებლები აყენებენ მოთხოვნას და რისთვისაც მზად არიან გადაიხადონ ფული.

მაგრამ იმისთვის, რომ გაიყიდოს საქონელი, იგი უნდაიყოს წარმოებული. საქონლის გარკვეული რაოდენობა უნდა ჰქონდეს ბიზნესმენს მზა სახით სარეალიზაციოდ. თუ ადამიანიყიდის საკუთარ ნივთებს ერთჯერადად, ეს არ წარმოადგენს ბიზნესს, ეს უბრალოდ გაყიდვაა. ბიზნესი გულისხმობს საქონლის სისტემატიურ წარმოებას, გაყიდვას, მიღებას, მომსახურების გაწევას, ბიზნესმენის უმნიშვნელოვანესიამოცანა, ბევრად უფრო რთული და არსებითია, ვიდრე გაყიდვის აქტი.

მომხმარებლებზე საქონლისა და მომსახურების შეთავაზებისათვის, ბიზნეს სექტორებმა უნდა აამოქმედონ წარმოების ფაქტორები, გამოიყენოს საკუთარი საშუალებები, მეწარმე საკუტარი ანნასესხები ფულით სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის, შეიძენს ბუნებრივი და შრომითი რესურსების წარმოების საშუალებებს, რის შემდეგან შეძენილი რესურსსები გარდაიქმნება დაქონლად და მომსახურებად. მეწარმე მთელ

ძალისხმევას წარმართავს იმისთვის, რომ სქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღემატებოდეს ბიზნეს-ოპერაციებზე გაწეულ ფულად დანახარჯებს თავისი პირადი რესურსების დანახარჯებთან ერთად. სწორედ ეს ციკლი წარმოადგენს მეწარმეობრივი საქმიანობის განხორციელების და მომგებიანობის ეფექტურ პირობას.

დასკვნა

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბიზნესის როლი მნიშვნელოვნად დიდია. დღევანდელ დღეს, ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს, სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე ბიზნესი ყველა ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია.

როდესაც ვფიქრობთ რაიმე ფორმით ბიზნეს საქმიანობის წარმართვაზე, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, აუცილებელია ვიცოდეთ, რა ტიპის ეკნომიკურ საქმიანობაში გვიხდება ბიზნესის წარმართვა და რა ბიზნეს გარემოა იმ ქვეყანაში სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ. ხშირად, ეს ფაქტორი განაპირობებს წარმატებისა თუ წარუმატებლობის შედეგიანობას. არაერთხელ ყოფილა მსოფლიო პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც ცალკეული ბიზნეს გარემოს შესწავლის გარეშე რომელიმე კომპანიას განუხორციელებია მისი საქმიანობა და შედეგად კომპანიის მოღვაწეობა წარუმატებლად დასრულებულა. კონკრეტულად სანამ ბიზნეს გარემოს შევეხებოდეთ, განვიხილოთ იმ ეკონომიკური სისტემების არსი, რომლებიც ხშირად განაპირობებენ ამა თუ იმ ბიზნეს გარემოს ფორმირებას. რა არის მთლიანობაში ეკონომიკური სისტემების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები და საერთოდ ვინ განსაზღვრავს ეკონომიკურ სისტემას. ხშირად ეკონომიკური სისტემის ფორმირება ხდება იმის მიხედვით თუ როგორი პოლიტიკური კლასია ქვეყანაში, სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებების მქონე ადამიანები, სხვადასხვაგვარად უყურებენ ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკის მოწყობას. ყველა ტიპის პოლიტიკურ იდეოლოგიას გააჩნია თავისი ხედვა თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა მოწყობილი და ფორმირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შუბლაძე გ. და სხვები, ბიზნესის საფუძვლები 2011
2. მგელაძე ტ. ფერაძე თ. ბიზნესმენის კიდობანი თბ 2010 წ
3. შაკაშვილი ნ, მესხიშვილი დ, ბიბიჩაძე დ. ფირმის ეკონომიკა თბ 2012 წ
4. მგელაძე ტ. ფერაძე თ. ბიზნესმენის კიდობანი თბ 2010 წ
5. შაკაშვილი ნ, მესხიშვილი დ, ბიბიჩაძე დ. ფირმის ეკონომიკა თბ 2012 წ
6. მენგერი კ. ეკონომიკის საფუძვლები 2006

ინტერნეტ რესურსები

1. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/dadvadze.pdf
2. https://www.mof.ge/images/File/mimartulebebi/19-22-BDD-PIRVELADI-04.07.2018.pdf
3. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf